



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი: თაღლითობის გამოკვლევის მეთოდები - პრევენციული და გამოვლენითი

ავტორი: სოფიკო ჭაბაშვილი

ხელმძღვანელი: მიხეილ თოქმაზიშვილი

თბილისი

2020

რეზიუმე

მრავალ ორგანიზაციას თუ ფიზიკურ პირს მიუღია ფინანსური ზიანი თაღლითობის შედეგებიდან გამომდინარე. რაც უფრო კომპლექსურია ორგანიზაციის ოპერაციები მით უფრო მეტია შანსი, რომ შიდა კონტროლის გარემომ ვერ უზრუნველყოს თაღლითობის პრევენცია ან აღმოჩენა. თაღლითობის შედეგების დიდი გავლენის გამო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მასთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების გამოყენება.

კვლევის მიზანია დაამტკიცოს ბენფორდის კანონზომიერების და ბენეიშის მოდელის პრაქტიკაში გამოყენების მიზანშეწონილობა და შეიმუშავოს დამხმარე მეთოდოლოგია თაღლითობის რისკების შესაფასებლად.

მოცემული ნაშრომი საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალმხრივი კვლევაა, რომელიც ეხება თაღლითობასთან ბრძოლის საკითხებს. მასში მოყვანილი მეთოდები სიახლეა და საქართველოში 2016 წლის მდგომარეობით აქტიურად არ გამოიყენება. კვლევაში მოყვანილი მეთოდების ეფექტიანი გამოიყენება შეუძლიათ: კერძო აუდიტორული კომპანიებს, საკონსულტაციო კომპანიებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის გარემოს გაძლიერების მიმართულებით, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებისათვის (მაგ: საქართველოსთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახური) და ორგანიზაციების შიდა აუდიტის დეპარტამენტებს.

კვლევის შედეგად შემუშავებულია კითხვარი, რომელიც აფასებს ორგანიზაციაში არსებულ თაღლითობის რისკს. განხილულია ბენფორდის კანონზომიერება და ბენეიშის მოდელი და ნაჩვენებია პრაქტიკაში მათი გამოყენების გზები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თაღლითობა, პრევენცია, გამოვლენა, ბენფორდის კანონი, ბენეიშის მოდელი, თაღლითობის სამკუთხედი, თაღლითობის კითხვარი

სარჩევი

შესავალი.....	1
1. კვლევის მიზანი.....	2
2. ცვლადები.....	2
3. ლიტერატურის მიმოხილვა	3
3.1. თაღლითობის რაობა	3
3.2. თაღლითობის სახეები.....	4
3.3. თაღლითობის სამკუთხედი	9
3.4. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი.....	18
3.5. თაღლითობის კითხვარი.....	25
3.6. ბენფორდის კანონზომიერება.....	27
3.7. ბენეიშის მოდელი	29
4. კონცეპტუალური ჩარჩო.....	31
5. კვლევის მეთოდოლოგია.....	32
6. თაღლითობის კითხვარი	33
7. ბენფორდის კანონზომიერების დამტკიცება	45
8. ბენფორდის კანონზომიერების გამოყენება	49
9. ბენეიშის მოდელის გამოყენება	57
დასკვნა და რეკომენდაციები.....	59
ბიბლიოგრაფია.....	62

ფიგურების ჩამონათვალი

ფიგურა 1 - თაღლითობის სამკუთხედი	10
ფიგურა 2 - კონცეპტუალური ჩარჩო	32
ფიგურა 3 - თაღლითობის კითხვარის შედეგი.....	34
ფიგურა 4 - დამოუკიდებელი ბაზები და მათი ნამრავლით წარმოებული ბაზა	46
ფიგურა 5 - დამოუკიდებელი ბაზები და მათი შეჯამებით წარმოებული ბაზა	48
ფიგურა 6 - ბენფორდის კანონზომიერების პრაქტიკული მაგალითი.....	49
ფიგურა 7 - ბენფორდის კანონზომიერება თაღლითობის ფაქტის მაგალითზე.....	56
ფიგურა 8 - ბეინიშის მოდელის პრაქტიკული მაგალითი	58

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 - დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები.....	3
ცხრილი 2 - ბენფორდის კანონზომიერების რიცხვები	28
ცხრილი 3 - დამოუკიდებელი ბაზები და მათი ნამრავლით წარმოებული ბაზა	46
ცხრილი 4 - დამოუკიდებელი ბაზები და მათი ჯამით წარმოებული ბაზა	47
ცხრილი 5 - ბენფორდის კანონზომიერებისათვის რელევანტური ანგარიშები.....	51
ცხრილი 6 - ბენფორდის კანონზომიერებისათვის არარელევანტური ანგარიშები.....	52
ცხრილი 7 - ქართული პასპორტის გაცემის საფასურის ჩამონათვალი.....	53
ცხრილი 8 - თაღლითური ტრანზაქციების თანხები.....	55
ცხრილი 9 - თაღლითური ჩანაწერების ბენფორდის რიცხვებთან შედარება.....	56

შესავალი

მსოფლიოში მრავალი საჯარო თუ კერძო ორგანიზაცია, ინვესტორი თუ ფიზიკური პირი გამხდარა თაღლითობის მსხვერპლი. თაღლითობის შედეგად მიყენებული ზარალი ზოგ შემთხვევაში რამდენიმე ათეულ მილიონ აშშ დოლარს აღწევს. ხშირად თაღლითობის ფაქტები წლების განმავლობაში გრძელდება და რჩება შეუმჩნეველი. 2001 წელს მსოფლიო შემრა ამერიკული ნავთობკომპანია „ენრონის“ გაკოტრებამ რომელიც გამოიწვია თაღლითობის სქემებმა (Lawyershop, 2015). „ენრონის“ თაღლითობა შეფასებულია 78 მილიარდ აშშ დოლარად. კომპანია „ენრონთან“ ერთად გაკოტრდა მისი აუდიტორი „არტურ ანდერსენი“ რომელიც იმ დროისათვის შედიოდა მსოფლიოს უდიდეს აუდიტორულ კომპანიების ხუთეულში. თაღლითური სქემების გამოვლენის შედეგად გაკოტრებულ მრავალრიცხოვანი უდიდესი კომპანიების ჩამონათვალში შედიან: „პარმალატი“ (17 მილიარდი აშშ დოლარის თაღლითობა), „ვორდკომი“ (11 მილიარდი აშშ დოლარის თაღლითობა) და „ამარანტი“ (6 მილიარდის ღირებულების თაღლითობა).

თაღლითობა შესაძლოა დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად:

1. აქტივების მითვისება
2. ფინანსური ინფორმაციის განზრახ არასწორად წარდგენა
3. კორუფცია

აქტივების უკანონოდ მისაკუთრება ყველა ორგანიზაციის, განსაკუთრებით კი საწარმოების და სავაჭრო ორგანიზაციების პრობლემაა. ფინანსური ინფორმაციის დამახინჯებისკენ მიდრეკილება კი ისეთ ორგანიზაციებს ახასიათებს, რომლებიც საფონდო ბირჟებზე არიან კოტირებული და რომელთა აქციების ფასის ზრდა თუ კლება სწორედ მათ ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. მესამე კატეგორია (კორუფცია) სახელმწიფო სექტორისთვის არის დამახასიათებელი, რაც კანონმდებლობის გვერდის ავლით პირადი სარგებლის ნახვას ნიშნავს.

თაღლითობის სამივე კატეგორიაში უდიდესი ხვედრითი წილი ტრადიციულ მეთოდებს უკავია. ფინანსური ინსტიტუტების და ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებასთან ერთად იქმნება ახალი მაქინაციური სქემები, რაც დიდი გამოწვევაა თაღლითობასთან მებრძოლი სხვადასხვა სამსახურებისათვის.

თაღლითობა, როგორც წესი, ამცირებს კომპანიის ეკონომიკურ ღირებულებას დროთა განმავლობაში ან ერთიანად.

თაღლითობის გამოვლენა და პრევენცია, უდიდეს მნიშვნელობას იძენს დღევანდელ ბიზნეს გარემოში. აღნიშნული პრობლემატიკა განსაკუთრებით საინტერესოა ქართულ რეალობაში, მითუმეტეს რომ აღნიშნული საკითხი ამ დრომდე ფართოდ შესწავლილი არ არის.

1. კვლევის მიზანი

ნაშრომის მთავარი მიზანია გამოვიკვლიოთ გავრცელებული თაღლითობის სახეობები და დავადგინოთ რა მეთოდებით არის შესაძლებელი მათი პრევენცია და გამოვლენა. ასევე რა ნიშნები შეიძლება არსებობდეს თაღლითობის აღმოსაჩენად იმისათვის, რომ მოხდეს დროული რეაგირება და ზიანის მაქსიმალურად შემცირება. კვლევა მიზნად არ ისახავს თაღლითობის გამომწვევი მიზეზების დადგენას. კვლევის მიზანია თაღლითობის სიმპტომების იდენტიფიკაცია მისი პრევენციისა და აღკვეთის მიზნით.

2. ცვლადები

თაღლითობასთან ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები:

ცხრილი 1 - დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები

დამოუკიდებელი ცვლადები	დამოკიდებული ცვლადები
თაღლითობის სახეობები	თაღლითობის გამოკვლევის მეთოდები

თაღლითობის გამოკვლევის მეთოდები დამოკიდებულია იმაზე, თუ ზოგადად რა სახის თაღლითობასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების გაყალბებასთან ბრძოლა და აქტივების მითვისებასთან ბრძოლა ერთი და იმავე მეთოდით შესაძლოა არ იყოს ერთნაირად ეფექტიანი. აქედან გამომდინარე მეთოდები დამოკიდებულია თაღლითობის იმ სახეობებსა და ქვესახეობებზე, რომლებთან საბრძოლველადც გამოიყენება ესა თუ ის მეთოდი.

3. ლიტერატურის მიმოხილვა

3.1. თაღლითობის რაობა

როგორც ს. ალბრეხტი და თანაავტორები განმარტავენ (Albrecht, Albrecht, Albrecht, & Zimbelman, 2012), თაღლითობა არის უკანონო, არამართლზომიერი ან კრიმინალური ქმედება, რომელიც გამიზნულია ფინანსური ან პირადი სარგებლის მიღებისათვის.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დეკლარირებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კი თაღლითობა არის ხელმძღვანელობის, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების, თანამშრომლების, ან მესამე მხარეების ერთი ან მეტი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი წინასწარგანზრახული ქმედება, რომელიც

გულისხმობს მოტყუებას უსამართლო ან უკანონო უპირატესობის მოპოვების მიზნით (International Federation of Accountants, 2010, ISA 240).

თაღლითობის რისკის ფაქტორები კი იმავე სტანდარტის მიხედვით წარმოადგენს ისეთი მოვლენებს ან პირობებს, რომლებიც უბიძგებს ან აიძულებს თაღლითობის ჩადენას, ან ქმნის თაღლითობის ჩადენის შესაძლებლობას

3.2. თაღლითობის სახეები

აქტივების მითვისება

როგორც ს. ალბრეხტი და თანაავტორები განმარტავენ (Albrecht, Albrecht, Albrecht, & Zimbelman, 2012), აქტივების მითვისება არის თაღლითობა, რომელსაც როგორც წესი ახორციელებს თანამშრომელი იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ სადაც არის დასაქმებული. თანამშრომელი იყენებს თავის სამსახურებრივ პოზიციას იმისთვის, რომ მიითვისოს კომპანიის კუთვნილი აქტივები. აქტივების მითვისება არის თაღლითობის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. აქტივების მითვისება პირდაპირია თუ თანამშრომელი იპარავს კომპანიის ფულს, სავაჭრო მარაგებს, იარაღებს, საოფისე მარაგებს ან სხვა აქტივებს. აღნიშნულს ასევე ადგილი აქვს, როდესაც ხდება ფიქტიური კომპანიების დაარსება და მათზე თანხების გადარიცხვა მაშინ, როდესაც სანაცვლოდ არ ხდება არც პროდუქტის და არც მომსახურების მიღება. აქტივების მითვისება არაპირდაპირია, თუ თანამშრომელი იღებს გარკვეულ თანხას მომწოდებლებისგან ან მომხმარებლებისგან დაბალი გასაყიდი ან მაღალი შესასყიდი ფასის უზრუნველსაყოფად.

ს. ალბრეხტი და თანაავტორები (Albrecht, Albrecht, Albrecht, & Zimbelman, 2012) განმარტავენ, თაღლითობის კიდევ რამდენიმე სახეს:

მომწოდებლის თაღლითობა

მომწოდებლის თაღლითობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მომწოდებელი ან ზედმეტს ახდევინებს კომპანიას, ან აწვდის დაბალი ხარისხის პროდუქტს მაღალი ხარისხის პროდუქტის ფასში.

კლიენტის თაღლითობა

კლიენტის თაღლითობით ზარალდება კომპანია, რომელიც მომხმარებელს უწევს მომსახურებას ან გასცემს პროდუქციას და სანაცვლოდ არ იღებს შესაბამის შემოსავალს.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით (International Federation of Accountants, 2010, ISA 240) კი აქტივების უკანონო მითვისება გულისხმობს სამეურნეო სუბიექტის ქონების დატაცებას, რასაც უმეტესად აკეთებენ თანამშრომლები შედარებით მცირე და უმნიშვნელო თანხების ოდენობით. თუმცა, ამის ჩადენა ასევე შეუძლია ხელმძღვანელობასაც, რომელსაც, როგორც წესი, უფრო აქვს უკანონო მითვისების შენიღვის ან დაფარვის შესაძლებლობა იმგვარად, რომ რთული იყოს მათი აღმოჩენა. აქტივების უკანონო მითვისება შეიძლება განხორციელდეს მრავალნაირი ხერხით, მათ შორის:

- ა) ფულადი შემოსულობების გაფლანგვა (მაგალითად, ამოღებული დებიტორული დავალიანების უკანონო მითვისება ან ჩამოწერილ ანგარიშებთან დაკავშირებული ფულადი შემოსულობების გადაგზავნა პირად საბანკო ანგარიშებზე);
- ბ) მატერიალური აქტივების ან ინტელექტუალური ქონების მოპარვა (მაგალითად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოპარვა პირადი გამოყენებისთვის ან გასაყიდად, ჯართის მოპარვა გაყიდვის მიზნით, კონკურენტთან ფარულ გარიგებაში შესვლა მისთვის ტექნოლოგიური მონაცემების გამჟღავნებით, გარკვეული თანხის მიღების სანაცვლოდ);
- გ) სამეურნეო სუბიექტისთვის ისეთი საქონლის და მომსახურების საფასურის გადახდევინება, რომლებიც მას არ მიუღია (მაგალითად, ფიქტიური

გამყიდველებისთვის თანხების გადახდა, გამყიდველების მიერ სამეურნეო სუბიექტის გაყიდვების აგენტებისთვის ზედმეტი წამახალისებელი თანხის გადახდა ფასების ზედმეტად გაზრდის სანაცვლოდ, ფიქტიური თანამშრომლებისთვის ანაზღაურების გადახდა);

დ) ორგანიზაციის აქტივების პირადი მიზნებისთვის გამოყენება (მაგალითად, სამეურნეო სუბიექტის აქტივების გამოყენება უზრუნველყოფის სახით კერძო სესხის მისაღებად და დაკავშირებული მხარისათვის სესხის გასაცემად).

აქტივების უკანონო მითვისებას ხშირად თან სდევს ყალბი ან შემმოწმებლის შეცდომაში შემყვანი ჩანაწერები ან დოკუმენტაცია, იმ ფაქტის დაფარვის მიზნით, რომ რაღაც აქტივები დაკარგულია ან დაგირავებულია სათანადო ნებართვის გარეშე.

ფინანსური ანგარიშგების დამახინჯება

ფინანსური ანგარიშგების განზრახ არასწორად წარდგენა ემსახურება ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების შეცდომაში შეყვანას კომპანიის ან პირადი სარგებლის მიღების მიზნით. აღნიშნული სახის თაღლითობა ძირითადად დამახასიათებელია ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომელთა აქციებით ვაჭრობა ხდება საფონდო ბირჟებზე. კომპანიები მიდრეკილნი არიან რომ გააკეთონ ყველაფერი, რაც გამოიწვევს კომპანიის აქციების ფასების ზრდას. ხშირად კომპანიის ხელმძღვანელობის საპრემიო სისტემა სწორედ კომპანიის ღირებულების ზრდაზეა მიბმული. აქედან გამომდინარე იზრდება ხელმძღვანელობის ინტერესი, რაც შეიძლება უკეთესად წარმოაჩინონ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რაც თავის მხრივ იწვევს კომპანიის აქციების და შესაბამისად, კომპანიის საბაზრო ღირებულების გაზრდას. ფინანსური ანგარიშგების დამახინჯება შესაძლოა გამოწვეული იყოს ფიქტიური შემოსავლების საბუღალტრო ჩანაწერებში ასახვით, გაწეული ხარჯების აქტივებად აღიარებით, სააღრიცხვო პოლიტიკის ხელოვნური ცვლილებებით და ასე შემდეგ.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით (International Federation of Accountants, 2010, ISA 240) ფინანსური ანგარიშგების გაყალბებაში იგულისხმება წინასწარგანზრახული უზუსტობები, მათ შორის, ფინანსურ ანგარიშგებაში გამოტოვებული თანხები ან განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა შეცდომაში შესაყვანად. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ხელმძღვანელობის მცდელობით, შემოსავლები მართოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის მიზნით, სამეურნეო სუბიექტის საქმიანობისა და რენტაბელობის შესახებ თავისი მოსაზრებების თავს მოხვევის გზით. შემოსავლების ამგვარი მართვა შეიძლება დაიწყოს ხელმძღვანელობის მხრიდან პატარ-პატარა ქმედებებით ან დაშვებების შეუფერებელი შესწორებით და მსჯელობებში ცვლილებების შეტანით. ზეწოლებმა და მოტივებმა შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ქმედებების გაზრდა იმდენად, რომ ისინი გადაიზარდოს ფინანსური ანგარიშგების გაყალბებაში. ასეთ სიტუაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა ხელმძღვანელობა განიცდის ზეწოლას, ან სურს მაქსიმალურად გაზარდოს საკუთარი ანაზღაურება, რომელიც კომპანიის შედეგზე დაფუძნებული და იგი წინასწარ განზრახულად იკავებს ისეთ პოზიციას, რომლებსაც მივყავართ ფინანსური ანგარიშგების გაყალბებისკენ, ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის შეტანის გზით. ზოგ სამეურნეო სუბიექტში, ხელმძღვანელობას შეიძლება ჰქონდეს შემოსავლების საგრძნობი თანხით შემცირების მოტივი გადასახადების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ან შემოსავლების გაბერვის მოტივი, ბანკისგან დაფინანსების უზრუნველყოფს მიზნით.

ფინანსური ანგარიშგების გაყალბება შეიძლება მოხდეს:

- ა) იმ სააღრიცხვო ჩანაწერების ან დამხმარე დოკუმენტაციის მანიპულირების, ფალსიფიცირების (გაყალბების ჩათვლით) ან შეცვლის გზით, რომელზე დაყრდნობითაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება;
- ბ) ფინანსურ ანგარიშგებაში მოვლენების, ოპერაციების ან სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის არასწორი წარდგენა ან წინასწარგანზრახვით გამოტოვება;

გ) იმ სააღრიცხვო პრინციპების წინასწარგანზრახულად არასწორ გამოყენებას, რომლებიც ეხება თანხებს, კლასიფიკაციას, წარდგენის მეთოდს ან განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგების გაყალბებაში ხშირად იგულისხმება ხელმძღვანელობის მიერ იმ კონტროლის პროცედურებისათვის გვერდის ავლა, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, თითქოსდა ეფექტურად მუშაობს. ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურებისთვის გვერდის ავლით თაღლითობის ჩადენა შესაძლებელია შემდეგი ხერხების გამოყენებით:

ა) სააღრიცხვო ჟურნალში ფიქტიური ჩანაწერების შეტანით, განსაკუთრებით, როცა ახლოვდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო, საოპერაციო შედეგების მანიპულირების ან სხვა ამოცანების შესრულების მიზნით

ბ) იმ დაშვებების არასესაფერისი შესწორებით და ისეთ მსჯელობებში ცვლილებების შეტანით, რომლებიც გამოიყენება ანგარიშგების ნაშთების შესაფასებლად

გ) ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი მოვლენების და ოპერაციების აღიარების გამოტოვება ან დაგვიანება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

დ) ისეთი ფაქტების დაფარვა ან არგამხელა, რომლებსაც შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ჩაწერილ თანხებზე გავლენის მოხდენა

ე) ისეთი კომპლექსური ოპერაციების ჩატარება, რომელთა მიზანია სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის ან ფინანსური შედეგის არასწორი წარმოჩენა

ვ) ისეთი ჩანაწერების და პირობების შეცვლა, რომლებიც ეხება მნიშვნელოვან და არაყოველდღიურ ოპერაციებს.

კორუფცია

კორუფცია არის მინიჭებული ძალაუფლების არამართლზომიერი გამოყენება პირადი სარგებელის მიღების მიზნით. ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის განმარტებით“ (Transparency International, 2016) კორუფცია შეიძლება დაიყოს შემდეგ

კატეგორიებად: უმნიშვნელო, დიდი მასშტაბის ან პოლიტიკური. კატეგორიების მინიჭება დამოკიდებულია თანხობრივ სიდიდეებზე და სექტორზე, თუ სად ხდება ის. კორუფციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია არა მარტო კონკრეტული ორგანიზაციისთვის, არამედ მთლიანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისტემისათვის. ზოგადად, კორუფცია არაპირდაპირ ყველაზე ძვირი უჯდება ქვეყნის ეკონომიკას. კორუფციას შესაძლოა შეეწიროს ადამიანთა სიცოცხლე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის მასთან ბრძოლას.

3.3. თაღლითობის სამკუთხედი

თაღლითობას ჩადიან ადამიანები, რომლებიც შესაძლოა მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა პირობით ჯგუფებს: თანამშრომლებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებს, ხელმძღვანელ პირებს და ა.შ. მაგრამ ჩვენთვის წინასწარ არასდროს არის ცნობილი რომელი თანამშრომელი, მიმწოდებელი, მომხმარებელი, თუ ხელმძღვანელი პირი იქნება გარეული თაღლითობაში. თითოეულ მათგანს შესაძლოა ამგვარი ქმედების ჩადენის თავისი გამართლება ჰქონდეს.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით (International Federation of Accountants, 2010, ISA 240) თაღლითობა, გაყალბებული ფინანსური ანგარიშგება იქნება ეს თუ აქტივების უკანონო მითვისება, გულისხმობს თაღლითობის ჩადენის მოტივს (ზიძგს) ან იძულებას, მისი ჩადენის შეცნობილ შესაძლებლობას და ამ აქტის ნაწილობრივ რაციონალიზაციას, მაგალითად:

ა) ფინანსური ანგარიშგების გაყალბების მოტივი ან იძულება შეიძლება არსებობდეს, როცა ხელმძღვანელობა ზეწოლას განიცდის ორგანიზაციის შიგნით ან გარეთ არსებული წყაროებისაგან, რათა მიღწეულ იქნეს შემოსავლების სავარაუდო (და შეიძლება არარეალურიც) გეგმა ან ფინანსური შედეგი – განსაკუთრებით, თუ ხელმძღვანელობისთვის ფინანსური გეგმების შესრულებიდან გამომდინარე შედეგები მნიშვნელოვანია. იმავენაირად, ცალკეულ პირებს შეიძლება ჰქონდეთ მოტივი აქტივების მითვისებისთვის, მაგალითად, უსახსრობის გამო.

ბ) თაღლითობის ჩადენის შეცნობილი შესაძლებლობა შეიძლება არსებობდეს, როცა რომელიმე პირი დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია შიდა კონტროლისთვის თავის არიდება, მაგალითად, იმის გამო, რომ ამ პირს ენდობიან ან მან იცის შიდა კონტროლში არსებული ნაკლოვანებების შესახებ

გ) ცალკეულმა პირებმა შესაძლოა შეძლონ გაყალბების ჩადენის ლოგიკურად დასაბუთება. ზოგიერთ პირს გააჩნია განწყობა, ხასიათი ან ეთიკური ფასეულობების გარკვეული სისტემა, რომლებიც მათ აძლევს წინასწარ გაცნობიერებულად და განზრახ უპატიოსნო მოქმედების ჩადენის შესაძლებლობას. თუმცა, სხვა შემთხვევაში, პატიოსან ადამიანებსაც შეუძლიათ თაღლითობის ჩადენა ისეთ გარემოში, რომელიც საკმარის ზეწოლას ახდენს მათზე.

ს. ალბრეტის მიხედვით (The Association of Certified Fraud Examiners, 2014) თაღლითობას განსაზღვრავს სამი ფაქტორი, ესენია: მოტივაცია (ზეწოლა), რაციონალიზაცია და შესაძლებლობა. აღნიშნული სამი ფაქტორი ქმნის ე.წ. თაღლითობის სამკუთხედს.

ფიგურა 1 - თაღლითობის სამკუთხედი



მოტივაცია (ზეწოლა)

კვლევის მიხედვით თაღლითობის 90% გამოწვეულია ზეწოლით (Albrecht, Albrecht, Albrecht, & Zimbelman, 2012 P.36). თაღლითობასთან მიმართებაში მოტივაცია გულისხმობს: ფინანსურ ზეწოლას, ცხოვრების სტილს, სამსახურთან დაკავშირებულ წნეხს და სხვა ზეწოლას:

1. ფინანსური ზეწოლა

ა) სიხარბე

ბ) გადამეტებული ხარჯვა (იმაზე მეტის ვიდრე ფინანსები იძლევა საშუალებას)

გ) მაღალი გადასახადები ან პირადი ვალები

დ) საკრედიტო ისტორიის გაუარესების შიში

ე) პირადი ფინანსური დანაკარგები

ვ) ფინანსების უცაბედი საჭიროება

2. ცხოვრების წესის ზეწოლა

ა) აზარტული თამაშები

ბ) ნარკოტიკული საშუალებები

გ) ალკოჰოლი

დ) ძვირი ქორწინებაგარეშე ურთიერთობები

3. სამსახურთან დაკავშირებული წნეხი

ა) შესრულებული სამუშაოსთვის არასათანადოდ დაფასების შეგრძნება

ბ) სამსახურით უკმაყოფილობის შეგრძნება

გ) სამსახურის დაკარგვის შიში

დ) დაწინაურების ხანგრძლივი მოლოდინი

ე) დაბალი ანაზღაურების შეგრძნება

4. სხვა ზეწოლა

- ა) კომფორტული ცხოვრების სურვილი
- ბ) საჭიროებების და სურვილების გაურჩევლობა
- გ) ადამიანის წარმატების შეფასება სიმდიდრის მიხედვით

ს. ალბრეხტის და თანაავტორების მიერ მოყვანილი კვლევის მიხედვით (Albrecht, Albrecht, Albrecht, & Zimbelman, 2012. P.36), თანამშრომლების მიერ ჩადენილი თაღლითობის 35% მოდის მათთან თანამშრომლობის 1-4 წლამდე პერიოდში, ხოლო დანარჩენი 70% ნაწილდება კომპანიაში 4-35 წლის სტაჟის მქონე თანამშრომლებზე. რაც შეეხება ასაკობრივ ზღვრებს, ყველაზე დიდი რაოდენობის თაღლითობას ჩადიან თანამშრომლები 35-45 წლის ასაკში.

შესაძლებლობა

ხშირად ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ თაღლითობა ჩაიდინონ. მაგალითად, თუ ორგანიზაცია არ ამოწმებს მისივე სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყობში თანამშრომლების გადაადგილებას და ქმედებებს, თანამშრომელმა შესაძლოა ვერ გაუძლოს ცდუნებას და მოიპაროს პროდუქცია. ასევე თუ თანამშრომელს აქვს იმის განცდა, რომ ჩადენილი არასანქცირებული ქმედებისთვის ის არ დაისჯება, აღნიშნულიც შეიძლება გახდეს თაღლითური ქმედების ჩადენის წინაპირობა. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რაც ადამიანს აძლევს შესაძლებლობას ჩაიდინოს თაღლითობა:

1. პრევენციული ან/და გამოვლენითი კონტროლების ნაკლებობა

კონტროლის გარეშო არის სამუშაო ატმოსფერო, რომელსაც ქმნის ორგანიზაცია მისი თანამშრომლებისთვის. კონტროლის გარეშო მოიცავს ხელმძღვანელობის როლს და დამოკიდებულებას სამსახურისადმი, ხელმძღვანელობის კომუნიკაციას, თანამშრომელთა სათანადო შერჩევას, მკაფიო ორგანიზაციულ სტრუქტურას და ეფექტიან შიდა აუდიტის კონტროლს.

ს. ალბრეხტის და თანაავტორების განმარტებით (Albrecht, Albrecht, Albrecht, & Zimbelman, 2012. P41), ხელმძღვანელობის როლი და დამოკიდებულება სამსახურისადმი უაღრესად მნიშვნელოვანია. ხშირად ხელმძღვანელი პირების არაკეთილსინდისიერი ქცევა თანამშრომლებისთვის მაგალითი ხდება. ისინი პოულობენ გამართლებას - თუ ხელმძღვანელობისათვის მისაღებია ესა თუ ის არასანქცირებული ქცევა, დასაშვებია იქნება მათთვისაც.

შემდგომი არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ხელმძღვანელობის კომუნიკაცია თანამშრომლებთან. დაქირავებულთათვის ინფორმაციის მიწოდება იმასთან დაკავშირებით, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი გაკეთება არის დაუშვებელი განსაკუთრებული მნიშვნელობის არის. აღნიშნული პროცესი გავს მშობლების დარიგებას ბავშვებისადმი, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა სიტუაციებში იმისათვის, რომ მათი ქმედებები იყოს პატიოსნების პრინციპების ჩარჩოში მოქცეული. ორგანიზაციაში მსგავსი კომუნიკაცია შესაძლოა ხდებოდეს ეთიკის კოდექსის შემუშავებით და ოფიციალური წარდგენით, რეგულარული სამუშაო შეხვედრებით, ტრენინგებით, ზედამხედველებსა და თანამშრომლებს შორის განხილვებით და სხვა სახის კომუნიკაციით, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისაგან ამ ორგანიზაციაში მისაღებ და მიუღებელ ქცევას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული კომუნიკაცია უნდა იყოს სამართლიანი და თანმიმდევრული. ორგანიზაციაში დამკვიდრებული ქცევის წესები უნდა ვრცელდებოდეს თვითოეულ თანამშრომელზე ერთნაირად და არ შეიძლება რომელიმე მათგანი მიენიჭოს უპირატესი მდგომარეობა. თუ ერთი თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა გარკვეული სანქცია, მსგავსი ქმედების ჩადენისთვის ხელმძღვანელობამ სხვა თანამშრომლების მიმართაც უნდა გაატაროს ანალოგიური სანქცია. ორგანიზაციული ქცევის წესების მიმართ არათანმიმდევრულ დამოკიდებულებას კომპანიის შიდა კონტროლის სისტემისთვის დამანგრეველი ეფექტი ექნება.

შიდა კონტროლის მექანიზმის მესამე მნიშვნელოვანი კომპონენტია ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა სწორ შერჩევას ამათუი პოზიციისთვის. ს. ალბრეხტის და თანაავტორების ინფორმაციით

(Albrecht, Albrecht, Albrecht, & Zimbelman, 2012. P40) კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკის შერეულ შტატებში დაქირავებული თანამშრომლების 30% არის ყოველთვის არაკეთილსინდისიერი, 40% არის სიტუაციურად კეთილსინდისიერი და 30% არის ყოველთვის კეთილსინდისიერი. მაშინ როდესაც ორგანიზაცია ქირაობს არაკეთილსინდისიერ თანამშრომელს საუკეთესო კონტროლის მექანიზმიც კი შესაძლოა არ აღმოჩნდეს ეფექტიანი. ხშირად კონტროლის მექანიზმი აერთიანებს კონკრეტული ოპერაციის რამდენიმე რგოლს. თუ თითოეულ რგოლს წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი თანამშრომელი, მაშინ ალბათობა იმისა, რომ კონტროლის მექანიზმში ჩართულ თანამშრომლებს შორის მოხდება ფარული შეთანხმება და თაღლითობის ჩადენა, გაცილებით დიდია. ფარული შეთანხმება კი ყოველთვის რთულად გამოსავლენია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაცია ყოველთვის იქნება დამოკიდებული თანამშრომელთა კეთილსინდისიერებაზე.

მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა გულისხმობს თანამშრომლებისათვის უფლება-მოვალეობების ზუსტ გადანაწილებას. თითოეული თანამშრომელი უნდა იყოს ინფორმირებული თუ რა შედის მის ყოველდღიურ მოვალეობაში, რისი უფლება აქვს და რა საკითხებზეა პასუხისმგებელი. მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე კომპანიებში თაღლითობის ჩადენის რისკი მცირდება.

ს. ალბრეხტის და თანაავტორების განმარტებით (Albrecht, Albrecht, Albrecht, & Zimbelman, 2012. P.41), მიუხედავად იმისა, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტს შეუძლია თაღლითობის შემთხვევების მხოლოდ 20%-ის გამოვლენა, ის მაინც რჩება თაღლითობის პრევენციის და გამოვლენის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად.

ზემოთ ჩამოთვლილი ხუთივე ელემენტის ერთდროული არსებობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე. კომპანიაში ხილული კონტროლის მექანიზმების არსებობა თანამშრომლებისათვის არის გზავნილი, რომ ორგანიზაცია თაღლითობის პრევენციასა და გამოვლენას მნიშვნელოვანი ყურადღება აქცევს. აქედან გამომდინარე თანამშრომლები უფრო მეტ ძალისხმევას იჩენენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის და შედარებით ნაკლებს ფიქრობენ იმაზე, თუ რა

ხერხებითა და გზებით არის შესაძლებელი ორგანიზაციის აქტივების არაკანონიერი მითვისება. ხელმძღვანელობის კომუნიკაციის მეშვეობით მათ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ ეპატიებათ თაღლითობის არცერთი ფაქტი.

2. შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასების დაბალი უნარი

ხშირ შემთხვევაში ორგანიზაციის ზედამხედველი რგოლის წარმომადგენლებს არ აქვთ შესაბამისი უნარი, რომ შეაფასონ რამდენად კვალიფიციური თანამშრომელი აიყვანეს სამსახურში. თუ მათ არ აქვთ ინფორმაცია, რამდენად შეესაბამება თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოები სტანდარტებს და დადგენილ ნორმებს, აღნიშნული მიუთითებს კონტროლის შეუძლებლობაზე, რაც თავის მხრივ ზრდის თაღლითობის ჩადენის რისკს.

3. გამოვლენილი თაღლითობის მონაწილეების დაუსჯელობა

თაღლითობის ჩამდენი თანამშრომლების დაუსჯელობა ზრდის იმის ალბათობას, რომ მსგავსი თაღლითობა მომავალში ისევ განხორციელდება იმავე ან სხვა თანამშრომლის მიერ. ამდენად განსაკუთრებული მნიშვნელობის არის თაღლითობის ჩამდენი თანამშრომლის დასჯა, რაც იქნება მაგალითი როგორც მისთვის, ასევე მისი კოლეგებისათვის.

4. ინფორმაციაზე მიუწვდომლობა

თაღლითობის ჩადენის შესაძლებლობა თანამშრომელს მაშინ ეძლევა, როდესაც ის მართავს ინფორმაციას. თუ ინფორმაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ერთ თანამშრომელს, თაღლითობის ჩადენის რისკი საგრძნობლად იზრდება, რადგან ამ შემთხვევაში ჩნდება მონაცემებით მანიპულაციის შესაძლებლობა. თუ დებიტორებთან ან/და კრედიტორებთან ურთიერთობა, საბანკო ანგარიშების კონტროლი და გადახდების წარმოება ერთი თანამშრომლის უფლება-მოვალეობებში შედის, იმის შანსი, რომ საკონტროლო ჩანაწერები იყოს გაყალბებული საკმაოდ დიდია. ხშირია შემთხვევები, როდესაც აუდიტორებს, ან სხვა

მაკონტროლებელ რგოლებს ორგანიზაცია არ აწვდის სრულ ინფორმაციას განხორციელებული ოპერაციების შესახებ. სწორედ აქედან გამომდინარე აუდიტორული კომპანიის პირველი მიზანი აუდიტორული პროცედურების დაწყებამდე უნდა იყოს მოწოდებული ინფორმაციის სისრულის შემოწმება. უნდა მოხდეს, მოწოდებული ინფორმაციის ჯვარედინი გადამოწმება სხვადასხვა შესაძლო წყაროებთან შედარების გზით მისი სისრულის დასადგენად.

5. ორგანიზაციის მხრიდან იგნორირება, გულგრილობა და უუნარობა

ორგანიზაციამ უნდა გააკონტროლოს მის მიერ დანერგილი წესების შესრულება. ხელმძღვანელობის მხრიდან დანერგილი კონტროლის მექანიზმების იგნორირებას ხშირად მოჰყვება თაღლითობის შემთხვევები. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ აუცილებელია გამოავლინოს კონტროლოს უნარი. ყურადღება უნდა მიექცეს შექმნილი და დანერგილი კონტროლის მექანიზმების შესრულებას. ნებისმიერი კონტროლის შესრულება რომელიც დანერგილია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ აუცილებელია იყოს ეფექტიანი.

6. აუდიტორებისთვის კვალის არევა

თაღლითობის ჩამდენი ხშირად ინფორმირებულია იმ შანსის არსებობის შესახებ, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტი ან გარე დამოუკიდებელი აუდიტორი აღმოაჩენს მის მიერ ჩადენილ თაღლითობას. აქედან გამომდინარე თაღლითობის ჩამდენი თანამშრომელი უმეტეს შემთხვევაში ცდილობს შენიღბოს თავისი თაღლითობა. თაღლითობის შენიღბვის ყველაზე ხშირი მაგალითია დიდი თანხის მქონე ოპერაციების დანაწევრება შედარებით პატარა თანხებად. ამასთან ერთად, თუ თანამშრომელი ჩადის თაღლითობას დიდი შანსია რომ ეს ეხებოდეს მოგება-ზარალის უწყისს, რადგან მოგება-ზარალის უწყისის ანგარიშები (შემოსავლები და ხარჯები) ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს იხურება, რაც ნიშნავს ამ ანგარიშების განულებას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ თაღლითობის ჩადენის წელს ვერ იქნება აღმოჩენილი ეს თაღლითური ოპერაცია, საკამოდ მცირეა იმის შანსი, რომ

მომავალში ეს თაღლითობა გამოვლინდეს. ხოლო თუ თაღლითური ტრანზაქცია შეეხებოდა არა მოგება-ზარალის უწყისის ანგარიშს, არამედ საბალანსო უწყისის ანგარიშს, მაგალითად მარაგებს, ამ შემთხვევაში მისი ბალანსი წლიდან წლამდე გადავა განულების გარეშე და შესაძლებელია მომავალში შემოწმების დროს აუდიტორმა აღმოაჩინოს.

რაციონალიზაცია

რაციონალიზაცია არის თაღლითობის სამკუთხედის მესამე კომპონენტი, რომელიც გულისხმობს თაღლითობის ჩამდენი ადამიანის მიერ საკუთარი თავის გამართლებას. თაღლითობის ჩამდენი თანამშრომელი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ ქმედება რომელსაც ის ჩადის არის არამართლზომიერი, მაგრამ ამ ყველაფერს აკეთებს სამართლიანობის სახელით. ის ამართლებს საკუთარ ქმედებას ისეთი ლოგიკით, რომელიც მისი აზრით არის თაღლითობის გამამართლებელი. ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის თაღლითობა არის ერთჯერადი და არ მეორდება, თუმცა მისი გამეორების შესაძლებლობა არ უნდა გამოირიცხოს. რაციონალიზაციის მაგალითი შეიძლება იყოს მრავალშვილიანი თანამშრომელი, რომელიც ორგანიზაციის ქონებას არამართლზომიერად ითვისებს იმ გამართლებით, რომ აღნიშნული ქმედების განუხორციელებლობის შემთხვევაში ვერ შეძლებს თავისი ოჯახის გამოკვებას. ცხოვრებაში თითქმის არ არსებობს ადამიანი, რომელსაც თავისი ქმედებისათვის გამართლება არ მოუძებნია. მაგალითად, თუ ადამიანმა რაიმე ნივთში გადაიხადა საკმაოდ დიდი თანხა იმასთან შედარებით, რის საშუალებასაც საკუთარი ფინანსები აძლევს, შესაძლოა იფიქროს, რომ აღნიშნული ხარჯი გამართლებულია, რადგან სჭირდებოდა. იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა გამართლებას უძებნიან, გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც ამართლებენ საკუთარ არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

არაკეთილსინდისიერი ქმედების რაციონალიზაციის სტანდარტული გამამართლებელი წინადადებები შემდეგნაირად შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული:

- კომპანიას ჩემი მართებს
- ამ ფულს მომავალში დავაბრუნებ

- ამით არავის ვაყენებ ზიანს
- მეტს ვიმსახურებ
- ამას მხოლოდ კარგ მიზნებს მოვახმარ
- როგორც კი ჩემი ფინანსური კრიზისი დასრულდება ამას აღარ გავაკეთებ
- როგორც კი შესაძლებლობა მექნება ამას ავანაზღაურებ ზეგანაკვეთური მუშაობით

ხშირად შესაძლოა გამართლება ეხებოდეს ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადების გადახდას. იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი განზრახ იხდის ნაკლებ გადასახადს, ვიდრე ეს კანონით არის .

3.4. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანია დადგინდეს შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას. არსებითი უზუსტობა შესაძლოა გამოწვეული იყოს შეცდომის ან თაღლითობით. ფინანსური აუდიტის ძირითადი მიზანი არ არის თაღლითობის აღმოჩენა, მიუხედავად ამისა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები ითხოვს აუდიტორისგან გარკვეული პროცედურების ჩატარებას თაღლითობის გამოვლენასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ცალკე სტანდარტი ეძღვნება - ISA 240 “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს თაღლითობის საკითხთან დაკავშირებით“ (International Federation of Accountants, 2010, ISA 240).

აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, ფინანსურ ანგარიშგებაში უზუსტობები წარმოიშობა ან თაღლითობის ან შეცდომის გამო. თაღლითობასა და შეცდომას შორის განმასხვავებელი ფაქტორია ის ძირითადი ქმედების ტიპი რომელიც იწვევს ფინანსური ანგარიშგების უზუსტობას, წინასწარგანზრახულია იგი თუ უნებლიე.

მიუხედავად იმისა რომ თაღლითობა ფართო სამართლებრივი ცნებაა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიზნებისათვის, აუდიტორისთვის უფრო პრობლემატურია ისეთი თაღლითობა, რომელიც იწვევს არსებით უზუსტობას ფინანსურ ანგარიშგებებში.

აუდიტორს შეეხება ორი ტიპის წინასწარგანზრახული უზუსტობა – გაყალბებული ფინანსური ანგარიშგების შედეგად და აქტივების უკანონო მითვისების შედეგად წარმოქმნილი უზუსტობები. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორს შეიძლება ეჭვი ჰქონდეს, ან გამოავლინოს თაღლითობის ფაქტი, აუდიტორი ვერ მიიღებს სამართლებრივ გადაწყვეტილებას ამის თაობაზე, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი თაღლითობას. აღნიშნული საკითხი სამართალდამცავი ორგანოების გამოძიების საგანს წარმოადგენს.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით (International Federation of Accountants, 2010, ISA 240) ძირითადი პასუხისმგებლობა თაღლითობის თავიდან აცილებასა და გამოვლენაზე ეკისრება როგორც ორგანიზაციის მართვის უფლებამოსილ პირებს, ასევე ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელობამ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ზედამხედველობით გააკეთოს მკაცრი აქცენტი თაღლითობის თავიდან აცილების თაობაზე და თაღლითობისაგან თავშეკავებაზე, რამაც ცალკეულ პირებს შეიძლება უბიძგოს არ ჩაიდინონ თაღლითობა მისი სავარაუდო გამოვლენისა და დასჯის გამო. ამაში იგულისხმება ვალდებულება შეიქმნას კეთილსინდისიერებისა და ეთიკური ქცევის კოდექსი, რომლებიც შეიძლება გამყარდეს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ზედამხედველობის საშუალებით. მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ზედამხედველობაში შედის კონტროლის პროცედურებისათვის გვერდის ავლის შესაძლებლობის ან ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესზე სხვა შეუფერებელი ზეგავლენის გათვალისწინება, კერძოდ, ხელმძღვანელობის მცდელობები, აკონტროლოს მოგება იმისთვის, რომ ანალიტიკოსებს თავს მოახვიოს თავისი მოსაზრებები სამეურნეო სუბიექტის საქმიანობასა და მომგებიანობასთან დაკავშირებით.

აუდიტორი, რომელიც აუდიტს ატარებს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პასუხისმგებელია იმ დასაბუთებული რწმუნების მოპოვებაზე, რომ მთლიანობაში აღებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. აუდიტის ჩატარებისას, არსებობს იმის გარდაუვალი რისკი, რომ ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი არსებითი უზუსტობა

შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს, თუნდაც აუდიტი სათანადოდ იყოს დაგეგმილიც და ჩატარებულიც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

თანდაყოლილი შეზღუდვების სავარაუდო ზეგავლენა განსაკუთრებით საგრძნობია თაღლითობით გამოწვეული უზუსტობის შემთხვევაში. თაღლითობით გამოწვეული უზუსტობის შეუმჩნეველობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული უზუსტობის შეუმჩნეველობის. ეს იმიტომ, რომ თაღლითობის დროს შეიძლება გამოყენებული იყოს კარგად მოფიქრებული და ორგანიზებული სქემები, მისი შენიღბვის მიზნით, მაგალითად, გაყალბება, ოპერაციების განზრახ არჩაწერა, ან აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება. ასეთი შენიღბული მცდელობების გამოვლენა შეიძლება კიდევ უფრო რთული იყოს, როცა მათ თან სდევს ფარული გარიგება. ფარულ გარიგებას შეუძლია აუდიტორი დაარწმუნოს აუდიტორული მტკიცებულების დამაჯერებლობაში. აუდიტორის მიერ თაღლითობის ფაქტის გამოვლენის უნარი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა:

- ა) კანონდამრღვევის ოსტატობა
- ბ) გაყალბების სიხშირე
- გ) გაყალბების მოცულობა
- დ) ფარული გარიგების ხარისხი
- ე) ცალკეული გაყალბებული თანხების ფარდობითი სიდიდე და
- ვ) გარეული პირების თანამდებობრივი რანგი

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორმა შეიძლება დაადგინოს თაღლითობის ჩადენის სავარაუდო ვარიანტები, აუდიტორისათვის რთული იქნება იმის განსაზღვრა, მსჯელობის ფარგლებში, მაგალითად, საადრიცხვო შეფასებებში, არსებული უზუსტობები თაღლითობით არის გამოწვეული თუ თანამშრომლის შეცდომით.

ამას გარდა, აუდიტორის მიერ ისეთი არსებითი უზუსტობის შეუმჩნეველობის რისკი, რომელიც გამოწვეულია ხელმძღვანელობის თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე პერსონალის თაღლითობით, რადგან ხელმძღვანელობას ხშირად აქვს იმის შესაძლებლობა,

რომ პირდაპირ თუ ირიბად შეცვალოს საადრიცხვო ჩანაწერები, წარადგინოს ყალბი ფინანსური ინფორმაცია ან თავი აარიდოს მაკონტროლებელ პროცედურებს, რომელთა მიზანია მსგავსი თაღლითობის ფაქტების თავიდან აცილება.

დასაბუთებული რწმუნების მოპოვების დროს, აუდიტორი პასუხისმგებელია მთელი აუდიტის განმავლობაში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებაზე, ხელმძღვანელობის მხრიდან კონტროლის პროცედურებისათვის გვერდის ავლის შესაძლებლობის გათვალისწინებასა და იმ ფაქტის აღიარებაზე, რომ შეცდომის გამოსავლენად ეფექტური პროცედურები შეიძლება არ იყოს ასეთივე ეფექტური თაღლითობის გამოსავლენად. მოცემული ასს-ის მოთხოვნების მიზანია, აუდიტორს დაეხმაროს თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენასა და შეფასებაში და ასეთი უზუსტობის გამოსავლენი პროცედურების შერჩევაში.

აუდიტორი ვალდებულია, მთელი აუდიტის განმავლობაში შეინარჩუნოს პროფესიული სკეპტიციზმი, იმის შესაძლებლობის აღიარებით, რომ შეიძლება არსებობდეს თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობები, მიუხედავად სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებაში აუდიტორის არსებული გამოცდილებისა. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუდიტორს გააჩნია საწინააღმდეგოში დარწმუნების მიზეზი, აუდიტორს უფლება აქვს, ჩანაწერები და დოკუმენტები მიიჩნიოს ნამდვილად. თუკი აუდიტის განმავლობაში გამოვლენილი პირობები აუდიტორს დაარწმუნებენ, რომ ესა თუ ის დოკუმენტი შეიძლება არ იყოს სანდო, ან დოკუმენტში მოცემული პირობები შესწორდა, მაგრამ არ გაუმჟღავნდა აუდიტორს, აუდიტორი ვალდებულია, ჩაატაროს შემდგომი გამოკვლევა.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის დროს იშვიათად ხდება დოკუმენტების ნამდვილობის დადგენა. თუმცა, იმ დროს, როცა აუდიტორი გამოავლენს ისეთ ფაქტს, რომლებიც აუდიტორს დაარწმუნებს იმაში, რომ რაიმე დოკუმენტი შეიძლება არ იყოს ნამდვილი ან პირობები რაიმე დოკუმენტში

შეიცვალა, მაგრამ არ გაუმჟღავნდა აუდიტორს, შემდგომი გამოკვლევებისთვის საჭირო პროცედურებში შეიძლება შევიდეს:

ა) მესამე მხარესთან პირდაპირ დადასტურება

ბ) დოკუმენტის ნამდვილობის შესაფასებლად ექსპერტის შრომის გამოყენება

პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნება მოითხოვს, რომ მუდმივად მიმდინარეობდეს იმის გამოკვლევა, მოპოვებული ინფორმაცია და აუდიტორული მტკიცებულება ვარაუდობს თუ არა თაღლითობით გამოწვეული რაიმე არსებითი უზუსტობის არსებობას. მასში იგულისხმება აუდიტორული მტკიცებულების სახით გამოსაყენებელი ინფორმაციის სანდოობის და, სადაც შესაფარისია, მათი მომზადებისა და გამოყენების განმავლობაში კონტროლის პროცედურების გათვალისწინება. თაღლითობის გარკვეული მახასიათებლების გამო, აუდიტორის სკეპტიციზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ხდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების გათვალისწინება. იმის მიუხედავად, რომ აუდიტორს ვერ მოსთხოვ, ყურადღება არ მიაქციოს ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას წარსულში, აუდიტორის პროფესიული სკეპტიციზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების გათვალისწინების დროს, რადგან შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცვლილებებს გარკვეულ გარემოებებში.

აუდიტორი ვალდებულია, ჩაატაროს ხელმძღვანელობის გამოკითხვა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) ხელმძღვანელობის მიერ იმ რისკის შეფასება, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებითად მცდარი იყოს თაღლითობის გამო,

ბ) ხელმძღვანელობის მიერ სამეურნეო სუბიექტში თაღლითობის რისკების გამოსავლენად და მათზე საპასუხო ქმედების განხორციელების მიზნით ჩატარებული პროცესი, მათ შორის თაღლითობის ნებისმიერი სპეციფიკური რისკები, რომლებიც მათ მიაჩნიათ ყურადსაღებად, ან იმ ოპერაციათა კატეგორიები, ანგარიშთა ნაშთები, განმარტებითი შენიშვნები, რომლებზეც, სავარაუდოდ, არსებობს თაღლითობის რისკი;

გ) ხელმძღვანელობის მიერ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ინფორმირება, თუკი ასეთი იქნება, მის მიერ ორგანიზაციაში თაღლითობის რისკების გამოსავლენად და მათზე საპასუხო ქმედების განხორციელების მიზნით ჩატარებულ პროცესთან დაკავშირებით; და

დ) ხელმძღვანელობის მიერ პერსონალის ინფორმირება, თუკი ასეთი იქნება, ეთიკური ქცევის შესახებ მის შეხედულებებთან დაკავშირებით.

აუდიტორი ვალდებულია, გამოკითხოს ხელმძღვანელობას და სხვა პირებს კომპანიის ფარგლებში, შეძლებისდაგვარა, იმის დასადგენად, იციან თუ არა მათ რამე ისეთი ნებისმიერი რეალური, საეჭვო თუ სავარაუდო თაღლითობის შესახებ, რომელიც მოქმედებს სამეურნეო სუბიექტზე.

ისეთი კომპანიების შემთხვევაში, რომლებსაც გააჩნიათ შიდა აუდიტის ფუნქცია, აუდიტორი ვალდებულია, გამოკითხოს შიდა აუდიტს იმის დასადგენად, იცის თუ არა მან რამე ისეთი ნებისმიერი რეალური, საეჭვო თუ სავარაუდო თაღლითობის შესახებ, რომელიც მოქმედებს სამეურნეო სუბიექტზე და თაღლითობის რისკების შესახებ მისი მოსაზრების გასაგებად.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით (International Federation of Accountants, 2010, ISA 240) იმ შემთხვევების გარდა, როცა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ყველა პირი მონაწილეობს ორგანიზაციის მართვაში, აუდიტორი ვალდებულია, გაერკვეს, როგორ ახორციელებენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ზედამხედველობას ხელმძღვანელობის მიერ სამეურნეო სუბიექტში თაღლითობის რისკების გამოსავლენად და მათზე საპასუხო ქმედების განსახორციელებლად ჩატარებულ პროცესებზე და ხელმძღვანელობის მიერ ამ რისკების შესამცირებლად შემუშავებულ შიდა კონტროლის მექანიზმებზე.

იმ შემთხვევების გარდა, როცა მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ყველა პირი მონაწილეობს სამეურნეო სუბიექტის მართვაში, აუდიტორი ვალდებულია, ჩაატაროს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების გამოკითხვა იმის დასადგენად, იციან

თუ არა მათ რამე ისეთი ნებისმიერი რეალური, საექვო თუ სავარაუდო თაღლითობის შესახებ, რომელიც მოქმედებს სამეურნეო სუბიექტზე. ასეთი გამოკითხვები ნაწილობრივ ტარდება ხელმძღვანელობის გამოკითხვების პასუხების გამყარების მიზნით.

აუდიტორი ვალდებულია, შეაფასოს, ჩატარებული რისკის შესაფასებელი სხვა პროცედურებისა და დაკავშირებული ქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ადასტურებს თუ არა, რომ სახეზეა თაღლითობის რისკის ერთი ან მეტი ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობის რისკის ფაქტორები შეიძლება სულაც არ გულსხმობდეს თაღლითობის აუცილებლად არსებობას, ისინი ხშირად არსებობს ისეთ გარემოებებში, სადაც ადგილი ჰქონდა თაღლითობას და ამის გამო, შეიძლება მიუთითებდეს თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკებზე.

თაღლითობის მიზეზით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების დადგენისა და შეფასებისას, აუდიტორი ვალდებულია, იმ დაშვების საფუძველზე, რომ ადგილი აქვს თაღლითობის რისკებს ამონაგების აღიარების დროს, შეაფასოს, თუ რა ტიპის ამონაგები, საშემოსავლო ოპერაციები წარმოშობს ასეთ რისკებს.

აუდიტორი ვალდებულია, თაღლითობის მიზეზით გამოწვეული არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკები ჩათვალოს მნიშვნელოვან რისკებად და, აქედან გამომდინარე აუდიტორი ვალდებულია, გაერკვეს ორგანიზაციის დაკავშირებულ კონტროლის მექანიზმებში, მათ შორის, ასეთ რისკებთან დაკავშირებულ კონტროლის ფუნქციებში.

თუ აუდიტორი გამოავლენს რაიმე უზუსტობას, არსებითს თუ არაარსებითს და მას ექნება იმაში დარწმუნების მიზეზი, რომ ეს უზუსტობა არის ან შეიძლება იყოს თაღლითობის შედეგი და ამაში ხელმძღვანელობაა გარეული (კერძოდ, მაღალი მენეჯერული რგოლის პირები), აუდიტორი ვალდებულია, ხელახლა შეაფასოს თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების შეფასება და მისგან გამომდინარე გავლენა იმ აუდიტორული პროცედურების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე, რომლებიც საჭიროა შეფასებულ რისკებზე საპასუხო ქმედებისათვის. აუდიტორი ასევე ვალდებულია, გაითვალისწინოს, მიუთითებენ თუ არა გარემოებები ან პირობები იმ სავარაუდო ფარულ

გარიგებაზე, რომელშიც მონაწილეობენ თანამშრომლები, ხელმძღვანელობა ან მესამე დაინტერესებული მხარეები მანამდე მოპოვებული მტკიცებულების სანდოობის ხელახალი განხილვის დროს.

თუ აუდიტორი გამოავლენს თაღლითობას ან ეჭვს შეიტანს თაღლითობის არსებობაზე, აუდიტორი ვალდებულია, დაადგინოს, არსებობს თუ არა პასუხისმგებლობა თაღლითობის ფაქტის ან ეჭვის შესახებ ორგანიზაციის გარეთ რომელიმე მხარისთვის შეტყობინებაზე. იმის მიუხედავად, რომ აუდიტორის პროფესიულმა ვალდებულებამ, შეინარჩუნოს დამკვეთის ინფორმაციის კონფიდენციალობა, შეიძლება ხელი შეუშალოს ასეთ შეტყობინებას, აუდიტორის სამართლებრივმა პასუხისმგებლობამ შეიძლება გადაწონოს კონფიდენციალობის ვალდებულება ზოგ შემთხვევაში.

3.5. თაღლითობის კითხვარი

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური აუდიტის ძირითადი მიზანი არ არის თაღლითობის გამოვლენა. მიუხედავად ამისა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები ითხოვს აუდიტორისაგან გარკვეული პროცედურების ჩატარებას თაღლითობის აღმჩენის საკითხებთან დაკავშირებით.

თაღლითობის რისკების შესაფასებლად და შემდგომი პროცედურების ჩასატარებლად აუდიტორმა შესაძლოა გამოიყენოს ეგრეთწოდებული თაღლითობის კითხვარი. აღნიშნული კითხვარი მოიცავს ისეთ კითხვებს, რომლებიც აუდიტორისათვის მიაწინებენ თაღლითობის შესაძლო არსებობის შესახებ. თავისთავად თაღლითობის კითხვარის შევსება და დასმულ შეკითხვებზე დადებითი პასუხების მიღება ვერ იქნება იმის გარანტი, რომ ორგანიზაციაში თაღლითობის ფაქტი არ მომხდარა. თუმცა თაღლითობის კითხვარის გამოყენება ხელს უწყობს თაღლითობის რისკების ჩამოყალიბებასა და შემდგომი განსახორციელებელი პროცედურების დაგეგმვას და ჩატარებას. კითხვარი როგორც წესი აუდიტორს ეხმარება ფოკუსის სწორად მიმართვაში გადაცდომების აღმოსაჩენად. თაღლითობის კითხვარი, როგორც წესი, მოიცავს კითხვებს კონტროლების გარემოს და მათი სათანადო შესრულების შესახებ.

აუდიტორის მიერ ხელმძღვანელობის გამოკითხვებმა შეიძლება გამოავლინოს სასარგებლო ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში პერსონალის თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების შესახებ. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთმა გამოკითხვის დროს მივიღოთ სასარგებლო ინფორმაცია, ფინანსურ ანგარიშგებაში ხელმძღვანელობის თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების შესახებ. სამეურნეო სუბიექტის ფარგლებში სხვა პირების გამოკითხვამ შეიძლება გამოაჩინოს ისეთი პირები, რომლებიც ისარგებლებენ ხელსაყრელი შემთხვევით და აუდიტორს გადასცემენ იმ ინფორმაციას, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება არ გამოჟღავნებულიყო.

ჩამოთვლილი პირები შედიან სამეურნეო სუბიექტის ფარგლებში იმ სხვა პირების მაგალითებში, რომლებიც შეიძლება უშუალოდ გამოკითხოს აუდიტორმა, თაღლითობის არსებობასთან ან ეჭვთან დაკავშირებით:

- ა) საექსპლუატაციო პერსონალი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესში
- ბ) უფლებამოსილების სხვადასხვა დონის მქონე თანამშრომლები
- გ) თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ კომპლექსური ან არაბუნებრივი ოპერაციების ინიცირებაში, დამუშავებასა და ჩაწერაში და ის პირები, ვინც ზედამხედველობას ან მონიტორინგს უწევენ ასეთ თანამშრომლებს
- დ) ფირმის იურისტ-კონსულტანტი
- ე) ეთიკის განყოფილების უფროსი ან მისი ეკვივალენტი პირი
- ვ) პირი ან პირები, რომლებსაც აკისრიათ თაღლითობის ბრალდებების განხილვის პასუხისმგებლობა

3.6. ბენფორდის კანონზომიერება

როგორც ს. დურჩი და თანაავტორები (Durtschi, Hillison, & Pacini, 2004) განმარტავენ ბენფორდის კანონზომიერება აუდიტორებისათვის წარმოადგენს მარტივ და ეფექტიან საშუალებას თაღლითობის აღმოსაჩენად. კანონზომიერება ეფუძნება დაკვირვებას, რომლის მიხედვითაც გარკვეული ციფრები სხვა ციფრებთან შედარებით უფრო ხშირად გვხვდება რელევანტურ მონაცემთა ბაზებში. მაგალითისთვის, გარკვეულ მონაცემთა ბაზაში ციფრი 1-ით დაწყებული რიცხვების რაოდენობა დაახლოებით 30%-ია, ციფრი 2-ით 17% და ა.შ. და ბოლოს ციფრი 9-ით უნდა იწყებოდეს ყველაზე ნაკლები რაოდენობის რიცხვი.

ბენფორდის კანონზომიერების წარმოშობა

1881 წელს ასტრონომმა და მათემატიკოსმა სიმონ ნიუკომბმა გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი, რასაც მოგვიანებით ბენფორდის კანონზომიერება დაერქვა, „ამერიკულ მათემატიკურ ჟურნალში“ (Durtschi, Hillison, & Pacini, 2004). მან აღმოაჩინა, რომ ლოგარითმული ცხრილების შემცველი წიგნის პირველი გვერდები უფრო მეტად იყო გაცვეთილი და გვერდიდან უფრო დასვრილადაც გამოიყურებოდა ვიდრე წიგნის შუა და ბოლო გვერდები. ეს იყო იმის მიმანიშნებელი, რომ ლოგარითმული ცხრილების პირველ გვერდებს უფრო ხშირად იყენებდნენ მკვლევარები ვიდრე მომდევნო გვერდებს. აქედან გამომდინარე სიმონ ნიუკომბმა დაასკვნა, რომ უფრო ხშირი იყო ის ლოგარითმული რიცხვები, რომლებიც იწყებოდა ციფრი 1-ით, შემდგომ უფრო ნაკლები იყო 2-ით დაწყებული რიცხვები და ასე შემდეგ. ნიუკომბმა გამოიყვანა ფორმულა, რომელიც ითვლიდა იმ ალბათობას რა ალბათობითაც თითოეული ციფრით დაწყებული რიცხვი უნდა შეგვხვედროდა ლოგარითმულ ცხრილებში:

$$P(d) = \text{Log}_{10}(1+1/d)$$

სადაც d არის ციფრები 1, 2, 3 ... 9 და P არის ალბათობა.

ამ ფორმულის გამოყენებით შედგენილია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია ციფრების განაწილების მუდმივი სიდიდეები:

ცხრილი 2 - ბენფორდის კანონზომიერების რიცხვები

d	P
1	0.30103
2	0.17609
3	0.12494
4	0.09691
5	0.07918
6	0.06695
7	0.05799
8	0.05115
9	0.04576
	1.00000

წყარო: (Mathworld, 2016)

იმის გამო, რომ სიმონ ნიუკომბმა აღმოჩენილი კანონზომიერება თეორიულად არ დაასაბუთა იმდროინდელი მათემატიკოსების ყურადღება ვერ დაიმსახურა. აღნიშნული ფაქტიდან დაახლოებით 50 წლის შემდეგ ლოგარითმულ ცხრილების ფურცლებთან დაკავშირებით იგივე შენიშნა ფიზიკოსმა ფრანკ ბენფორდმა (Durtschi, Hillison, & Pacini, 2004). აღნიშნული დაკვირვების გასამყარებლად მან გადაწყვიტა ეწარმოებინა დაკვირვება და შეაგროვა 20,000 ჩანაწერი, რომელშიც შედიოდა მდინარეების ფართობები და ელემენტების ატომური მასების შესახებ ინფორმაცია. ფრანკ ბენფორდის მიერ ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურა, რომ დაბალი ციფრებით დაწყებული რიცხვები ბაზებში უფრო ხშირი იყო, ვიდრე მაღალი ციფრებით დაწყებული რიცხვები. აღნიშნულ კანონზომიერებას დაერქვა ფრანკ ბენფორდის სახელი და დღეს ის ცნობილია, როგორც „ბენფორდის კანონზომიერება“.

3.7. ბენეიშის მოდელი

ბენეიშის მოდელი არის მათემატიკური მოდელი, რომელიც იყენებს ფინანსურ კოეფიციენტებს და რვა ცვლადს იმისათვის, რომ დადგინდეს ხომ არ ჰქონდა ადგილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ხელოვნურ მანიპულაციებს (Investopedia, 2016).

ბენეიშის მოდელი შეფასებისთვის იყენებს შემდგომ ცვლადებს (Oldschoolvalue, 2016):

1. DSRI - დებიტორული დავალიანების დაფარვის დღეების ინდექსი (Days' sales in receivable index)
2. GMI - მთლიანი მოგების მარჟის ინდექსი (Gross margin index)
3. AQI - აქტივების ხარისხის ინდექსი (Asset quality index)
4. SGI - შემოსავლების ზრდის ინდექსი (Sales growth index)
5. DEPI - ცვეთის ინდექსი (Depreciation index)
6. SGAI - გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ინდექსი (Sales and general and administrative expenses index)
7. LVGI - ვალდებულებებით დატვირთვის ინდექსი (Leverage index)
8. TATA - მთლიანი დარიცხვების მთლიან აქტივებთან შეფარდების ინდექსი (Total accruals to total assets)

აღნიშნული ინდექსების დადგენის შემდგომ ითვლება ეგრეთწოდებული M ქულა (M Score) შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$M = - 4.84 + 0.92*DSRI + 0.528*GMI + 0.404*AQI + 0.892*SGI + 0.115*DEPI - 0.172*SGAI + 4.679*TATA - 0.327*LVGI$$

თუ გამოსახულების შედეგი იქნება -1.78-ზე ნაკლები, ეს იმის ნიშანია, რომ კომპანია დიდი ალბათობით არ იქნება მანიპულატორი და პირიქით, თუ შედეგს მივიღებთ -1.78-ზე მეტს, ეს იქნება იმის მანიშნებელი, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კომპანიის მხრიდან ფინანსურ ინფორმაციაზე მანიპულაციებს.

ბენეიშმა ფორმულის დამტკიცებისათვის ჩატარებული ცდების მიხედვით დაადგინა, რომ მანიპულატორების 76%-ის გამოვლენა შესაძლებელია აღნიშნული ფორმულით, ხოლო 18% შემთხვევაში ფორმულის შედეგი არასწორად გვამცნობს იმის შესახებ, რომ კომპანია არამანიპულატორია.

ქვემოთ მოცემულია ბენეიშის მოდელში გამოსაყენებელი კოეფიციენტების დასათვლელი ფორმულები:

1. DSRI - დებიტორული დავალიანების დაფარვის დღეების ინდექსი (Days' sales in receivable index) = დებიტორული დავალიანება / მთლიან საკრედიტო გაყიდვები x 365 (Investopedia)

2. GMI - მთლიანი მოგების მარჟის ინდექსი (Gross margin index) = (შემოსავლები - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება) / შემოსავლები (Investopedia)

3. AQI - აქტივების ხარისხის ინდექსი (Asset quality index) = (მთლიანი გრძელვადიანი აქტივები - ძირითადი საშუალებები) / მთლიანი აქტივები (Oldschoolvalue, 2016)

4. SGI - შემოსავლების ზრდის ინდექსი (Sales growth index) = შემოსავლები t / შემოსავლები t-1 (Oldschoolvalue, 2016)

5. DEPI - ცვეთის ინდექსი (Depreciation index) = ცვეთის საშუალო კოეფიციენტი t-1 / ცვეთის საშუალო კოეფიციენტი t (Oldschoolvalue, 2016)

6. SGAI - გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ინდექსი (Sales and general and administrative expenses index) = გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები t / გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები t-1 (Oldschoolvalue, 2016)


7. LVGI - ვალდებულებებით დატვირთვის ინდექსი (Leverage index) = მთლიანი ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან t / მთლიანი ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან $t-1$ (Oldschoolvalue, 2016)

8. TATA - მთლიანი დარიცხვების მთლიან აქტივებთან შეფარდების ინდექსი (Total accruals to total assets) = (საბრუნავ კაპიტალის ცვლილება (ფულის გარდა) - ცვეთის ხარჯი) / მთლიან აქტივები (Oldschoolvalue, 2016)

4. კონცეპტუალური ჩარჩო

ლიტერატურის მიმოხილვით გამოვლინდა თაღლითობის სამი ძირითადი მიმართულება: ფინანსური ინფორმაციის განზრახ დამახინჯება, აქტივების მითვისება და კორუფცია. ფინანსური ინფორმაციის განზრახ დამახინჯების გამოვლენის ძირითად მეთოდად აუდიტი რჩება. აუდიტი კომპანიებისთვის კონტროლის საკმაოდ ძვირი მექანიზმია. აუდიტის გარდა ფინანსური ინფორმაციის განზრახ დამახინჯების პრევენციისთვის და გამოვლენისთვის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას თაღლითობის კითხვარი და ბენფორდის კანონზომიერება. კორუფციის სქემების გასახსნელად (გამოსავლენად) ხშირად გამოიყენება ბენფორდის კანონი, ხოლო შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა პრევენციისათვის საუკეთესო საშუალებაა. აქტივების მითვისება კორუფციასთან ერთად ყველაზე გავრცელებული თაღლითობის კატეგორიაა, რომელთან საბრძოლველადაც სხვა საშუალებებთან ერთად გამოიყენება ბენფორდის მეთოდი. აღნიშნულ თაღლითობას დაინტერესებულმა პირმა შესაძლოა ასევე დაუპირისპიროს თაღლითობის კითხვარი.

ფიგურა 2 - კონცეპტუალური ჩარჩო



წინამდებარე კვლევა ეხება იდენტიფიცირებული სამი სახის თაღლითობიდან მხოლოდ ორს: ფინანსური ინფორმაციის დამახინჯებას და აქტივების მითვისებას.

5. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია მოითხოვს რელევანტური ინფორმაციის შეგროვებას ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გამოკითხვითა და მათთან დაცული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზით. აღნიშნული ანალიზის საშუალებით მივიღებთ პასუხს კითხვაზე თუ რა მეთოდების გამოყენებაა შესაძლებელი თაღლითობის ფაქტების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად. კვლევის საწარმოებლად ასევე გამოკითხულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსები. კვლევაში გამოყენებული იქნება როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვების მეთოდები.

წინამდებარე კვლევა არის განმარტებითი (Explanatory), რაც ნიშნავს ჩემს მიერ იდენტიფიცირებულ ცვლადებს შორის კავშირის დადგენას, ანუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს დამოკიდებული (თაღლითობის გამოკვლევის მეთოდები) და დამოუკიდებელი (თაღლითობის სახეობები) ცვლადები.

6. თაღლითობის კითხვარი

შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები კონკრეტული წლის აუდიტის გეგმას უნდა ადგენდნენ რისკების შეფასებიდან გამომდინარე. ასევე გარე აუდიტორები კონკრეტული სააღრიცხვო წლის აუდიტის ჩატარებისას, როგორც წესი აუდიტორულ პროცედურებს გეგმავენ რისკზე დაფუძნებით. რადგან თაღლითობისგან გამოწვეული უზუსტობები ფინანსურ ანგარიშგებაში ყველაზე რთული შესამჩნევია, აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აუდიტორების მხრიდან. თუ რისკების შეფასების ერთ-ერთ პროცედურად აუდიტორები გამოიყენებენ „თაღლითობის კითხვარს“ მათ მიერ შეფასებული რისკები უფრო მეტად ახლოს იქნება რეალობასთან.

თაღლითობის სამკუთხედის შემადგენელი ელემენტებიდან გამომდინარე შევიმუშავე კითხვარი რომელიც აუდიტორისთვის იქნება დამხმარე სახელმძღვანელო თაღლითობის რისკების შეფასებისათვის. თითოეული კითხვა საჭიროებს აუდიტორული პროცედურების ჩატარებას იმისათვის, რომ ზედმიწევნით სწორი შედეგი მივიღოთ თაღლითობის კითხვარის შევსების შემდგომ. გამოვლენილი თაღლითობის რისკი აუდიტორმა შესაძლოა მნიშვნელოვან რისკად შეაფასოს რაც მომავალში განსაკუთრებული აუდიტორული პროცედურების ჩატარებას მოითხოვს. კითხვარი დაყოფილია ორ ნაწილად, პირველი ნაწილი ეხება „მოტივაციას“ და შედგება 10 კითხვისგან, ხოლო მეორე ნაწილი ეხება „შესაძლებლობას“ რომელიც შედგება 54 კითხვისგან. თითოეული კითხვას მივანიჭე მნიშვნელოვნობის მიხედვით 1 დან 3 ქულამდე. კითხვარის პირველ ნაწილში ორგანიზაცია შესაძლოა შეფასდეს მაქსიმუმ 20 ქულით, ხოლო მეორე ნაწილში 80 ქულით (20/80). ჯამში ორგანიზაციის მიერ მიღებული ქულების მაქსიმალური ოდენობა შესაძლოა შეადგენდეს 100 ქულას. რაც უფრო მეტი ქულით შეფასდება ორგანიზაცია მით უფრო ნაკლებია იმის შანსი, რომ კომპანიაში ადგილი ჰქონდეს თაღლითობას და პირიქით.

თაღლითობის კითხვარით შევაფასე შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. კითხვარის ორივე ნაწილში ორგანიზაციის მიერ დაგროვებულმა ქულამ შეადგინა 31 (იგივეა რაც 31%). როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიაში დაფიქსირდა მსხვილი

თაღლითობის შემთხვევა. აღნიშნული კითხვარის შევსების შემთხვევაში ნათელი იქნებოდა, რომ კომპანიაში არის თაღლითობის არსებობის საკმაოდ მაღალი რისკი.

ფიგურა 3 - თაღლითობის კითხვარის შედეგი

შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

მოტივაცია		3		20
შესაძლებლობა		28		80
სულ		31		100

თაღლითობის სამკუთხედის ელემენტებიდან გამომდინარე ასევე გამოვყავი ის მოვლენები (ინდიკატორები), რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ორგანიზაციაში შესაძლო თაღლითობის შესახებ.

თაღლითობის ინდიკატორები

1. ხელმძღვანელობა უარს აცხადებს საბუღალტრო ჩანაწერების მოწოდებაზე და უფლებას არ იძლევა იმ საშუალებებზე, კონკრეტულ დასაქმებულებზე, კლიენტებზე, მომწოდებლებზე ან ორგანიზაციის გარეთ მოქმედ მესამე მხარეებზე წვდომაზე, რომელთაგანაც შესაძლებელია აუდიტორული მტკიცებულებების მიღება.
2. ხელმძღვანელობა უკმაყოფილებას გამოთქვამს აუდიტის ჩატარებაზე, ზეწოლას ახდენს აუდიტის ჯგუფის წევრებზე, განსაკუთრებით აუდიტორის მიერ აუდიტორული მტკიცებულებების კრიტიკულად შეფასებასთან ან ხელმძღვანელობასთან პოტენციური უთანხმოებების მოგვარებასთან დაკავშირებით.
3. უჩვეულოდ აყოვნებს აუდიტორის მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას.

4. არ სურს, რომ ფინანსურ ანგარიშებში დაამატოს ან შეცვალოს ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების სისრულისა და უფრო ნათლად გაგების მიზნით.
5. ბუღალტრულ პოლიტიკაში ისეთი სახის ხშირი ცვლილებები, რომლებიც არ გამომდინარეობს შეცვლილი გარემოებებიდან.
6. ხელმძღვანელი პირების და სხვა თანამშრომლების ცხოვრების წესი არ შეესაბამება მათ ანაზღაურებას.
7. თანამდებობის პირების დეკლარირებული ვალდებულებების მკვეთრი შემცირება, რაც შეუსაბამობაში მოდის მათ მიერ დეკლარირებულ შემოსავლებთან - www.declaration.ge
8. თანამდებობის პირების დეკლარირებული ვალდებულებების მკვეთრი ზრდა, რაც შეუსაბამობაში იქნება მათ მიერ აღნიშნული ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობასთან დეკლარირებული შემოსავლებიდან გამომდინარე - www.declaration.ge
9. ხელმძღვანელი რგოლის თანამშრომლის/თანამშრომლების ქცევა არ შეესაბამება ორგანიზაციაში ფორმალურად დანერგილ ქცევის წესებს
10. რომელიმე თანამშრომელი შემჩნეულია ალკოჰოლის ან აზარტული თამაშებისადმი ხშირ დამოკიდებულებაში

თაღლითობის რისკების შეფასების კითხვები - მოტივაცია

1. ხშირია თუ არა თანამშრომლის მიერ გამოხატული უკმაყოფილება, რომ მათ არასათანადო დაფასება აქვთ სამსახურში?
(კი-0 ქულა // არა-1 ქულა)
2. გამოხატავენ თუ არა უკმაყოფილებას თანამშრომლები ანაზღაურების მომატების მოტივით?

(კი-0 ქულა // არა-1 ქულა)

3. ჰქონია თუ არა ადგილი თანამშრომლეთა გაფიცვას?

(კი-0 ქულა // არა-2 ქულა)

4. არსებობს თუ არა ორგანიზაციაში თანამშრომელთა შეფასების სისტემა?

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

5. თანამშრომელთა შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში დაკავშირებულია თუ არა ის მათ კარიერულ ზრდასა და ანაზღაურებასთან?

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

6. თანამშრომელთა შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში, აქვთ თუ არა თანამშრომლებს განცდა, რომ სისტემა მეტწილად სამართლიანია?

(კი-2 ქულა // არა-0 ქულა)

7. არსებობს თუ არა ორგანიზაციაში კარიერული ზრდის წესები?

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

8. ინფორმირებულნი არიან თუ არა თანამშრომლები კარიერული ზრდის წესების შესახებ ორგანიზაციაში დანერგილი ოფიციალური საინფორმაციო არხებით?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

9. დიდია თუ არა თანამშრომელთა ბრუნვის მაჩვენებელი?

(კი-0 ქულა // არა-1 ქულა)

10. ხშირია თუ არა ხელმძღვანელი პირების ცვლილებები?

(კი-0 ქულა // არა-3 ქულა)

თაღლითობის რისკების შეფასების კითხვები - შესაძლებლობა

1. არსებობს თუ არა ორგანიზაციაში შიდა აუდიტის ფუნქცია?

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

2. უზრუნველყოფილია თუ არა შიდა აუდიტის განყოფილების დამოუკიდებლობა ორგანიზაციულ სტრუქტურაში?
(კი-2 ქულა // არა-0 ქულა)
3. არის თუ არა შიდა აუდიტის განყოფილების ფუნქცია გამიჯნული აუდიტის ობიექტის საქმიანობისგან?
(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)
4. არსებობს თუ არა შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ბრძანება, რომლითაც შიდა აუდიტის განყოფილებას ენიჭება აუდიტის ობიექტის ყველა დოკუმენტზე და აქტივებზე შეუზღუდავი წვდომის უფლება?
(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)
5. ასრულებს თუ არა შიდა აუდიტის განყოფილება თავის ფუნქციებს საჯარო-საფინანსო ნორმატიული აქტების მიხედვით?
(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)
6. არსებობს თუ არა რაიმე ოფიციალური დოკუმენტი (წესდება), რომელიც ითვალისწინებს შიდა აუდიტის განყოფილების უფლებამოსილების ფარგლებს, პასუხისმგებლობებსა და მიზნებს?
(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)
7. შედის თუ არა შიდა აუდიტის განყოფილების უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილი მაღალი რისკის შემცველი სფეროების მიმართ მოქმედი შიდა კონტროლის მექანიზმების შეფასება და შესაბამისი ანგარიშგება?
(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)
8. შედის თუ არა შიდა აუდიტის განყოფილების უფლებამოსილების ფარგლებში თითოეულ შემოწმებულ სფეროსთან დაკავშირებით მოქმედი კანონებისა და ნორმატიული აქტების დაცვის შეფასება?

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

9. შედის თუ არა შიდა აუდიტის განყოფილების უფლებამოსილების ფარგლებში თითოეულ შემოწმებულ სფეროსთან დაკავშირებით ანგარიშის ფარგლებში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობის შეფასება?

(კი-2 ქულა // არა-0 ქულა)

10. შედის თუ არა შიდა აუდიტის განყოფილების უფლებამოსილების ფარგლებში თითოეულ შემოწმებულ სფეროსთან დაკავშირებით ოპერაციების ეფექტიანობის და ეკონომიურობის შეფასება?

(კი-2 ქულა // არა-0 ქულა)

11. ადგენს თუ არა შიდა აუდიტის განყოფილება აუდიტის წლიურ გეგმებს?

(კი-2 ქულა // არა-0 ქულა)

12. შიდა აუდიტის განყოფილებამ ჩაატარა და დაასრულა თუ არა მოცემული ფინანსური წლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებული ყველა აუდიტი?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

13. აქვს თუ არა შიდა აუდიტის განყოფილებას დოკუმენტირებული აუდიტის მეთოდი, რომელიც შეესაბამება შიდა აუდიტის მოქმედ სტანდარტებს?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

14. შიდა აუდიტის განყოფილების მიერ გაცემული რეკომენდაციების შემთხვევაში, შესრულებულ იქნა თუ არა ისინი?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

15. დროულად შესრულდა თუ არა შიდა აუდიტის, გარე აუდიტის, ხელმძღვანელობის და კონსულტანტების მნიშვნელოვანი რეკომენდაციები?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

16. იმ შემთხვევაში თუ შიდა აუდიტის განყოფილების ან გარე აუდიტორების მიერ გაცემული რეკომენდაციები არ შესრულდა, გაითვალისწინა თუ არა ხელმძღვანელობამ აღმოჩენილი რისკი თუ სისუსტე?
(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)
17. გამოავლინა თუ არა ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეუსაბამობის ფაქტები და გატარდა თუ არა შესაბამისი ცვლილება შიდა კონტროლის პროცედურებში?
(კი-2 ქულა // არა-0 ქულა)
18. ახდენს თუ არა შიდა აუდიტის დეპარტამენტი ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ცვლილებების და შესწორებების თანმიმდევრულ შემოწმებას?
(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)
19. მართავს თუ არა ხელმძღვანელობა განსაზღვრული პერიოდულობით შეხვედრებს თანამშრომლებთან მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის ქცევის მიღებულ და მიუღებელი წესების, განხილვის მიზნით?
(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)
20. დანერგილია თუ არა ორგანიზაციაში ეთიკის კოდექსი?
(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)
21. დანერგილია თუ არა ორგანიზაციაში თანამშრომლებისათვის ეთიკის კოდექსის გაცნობის წესი?
(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)
22. ორგანიზაციაში დანერგილია თუ არა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია?
(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)
23. ორგანიზაციაში არსებობს თუ არა თანამშრომელთა სამსახურში აყვანის წესი, რომელიც მუდმივად სრულდება?

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

24. არის თუ არა აუდიტის ობიექტის ორგანიზაციული სტრუქტურა განსაზღვრული, დამტკიცებული და განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის სქემის სახით?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

25. არის თუ არა ორგანიზაციული სტრუქტურა მარტივი და ადვილად აღსაქმელი?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

26. გაწერილია თუ არა თითოეული პოზიციის უფლებები და მოვალეობები?

(კი-2 ქულა // არა-0 ქულა)

27. არის თუ არა ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონეზე პასუხისმგებლობები და გადაწყვეტილების მიღებაში მათი როლები დოკუმენტურად ასახული და არის თუ არა პერსონალის ყველა წევრი მის შესახებ ინფორმირებული?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

28. არის თუ არა უფლებამოსილებების დელეგირება დოკუმენტურად ასახული, სადაც უფლებები და პასუხისმგებლობები, აგრეთვე ანგარიშვალდებულებისა და ნებართვის გამცემ პირთა იერარქია დეტალურადაა განსაზღვრული?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

29. აუდიტის ობიექტის რომელიმე მთავარ ფუნქციას ხომ არ ასრულებენ მესამე მხარეები? (მაგალითად: ხელფასების დარიცხვა, აქტივების მართვა ან შენახვა, შიდა აუდიტი და ა. შ.)

(კი-0 ქულა // არა-1 ქულა)

30. დანერგილია თუ არა ორგანიზაციაში თანამშრომლებისათვის მათ უფლებების და მოვალეობების ინფორმირების წესი?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

31. ორგანიზაციაში გადანაწილებულია თუ არა მნიშვნელოვანი ფუნქციები თანამშრომლებს შორის რაციონალურად?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

32. შეასრულა თუ არა ორგანიზაციამ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ყველა გარეშე, სათანადო მოთხოვნა?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

33. გადაიხედება თუ არა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები ან/და ბრძანებები რეგულარულად ცვლილებების განხორციელებისათვის (სამუშაოს ეფექტიანობის პრინციპებიდან გამომდინარე)?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

34. რეგულარულად ტარდება თუ არა რისკის ოფიციალური შეფასებები (მაგალითად, სულ ცოტა წელიწადში ორჯერ მაინც, ორგანიზაციის სიდიდისა და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით)?

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

35. რისკის ოფიციალური შეფასებებიდან გამომდინარე განსაზღვრავს თუ არა ხელმძღვანელობა ყველა რისკის მნიშვნელოვნებასა და ალბათობას?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

36. არსებობს თუ არა პირდაპირი კავშირი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილ რისკებსა და აუდიტორების მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილ რისკებს შორის?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

შეადარეთ ერთმანეთს მიმდინარე და წინა წლის აუდიტის პროცესში გამოვლენილი რისკები.

37. ხდება თუ არა ორგანიზაციაში რისკის საპასუხო კონკრეტული კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა და დოკუმენტურად ასახვა?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

38. განმარტა თუ არა ხელმძღვანელობამ შესაბამისი ფინანსური მარეგულირებელი აქტები ან/და ინსტრუქციები და შეიმუშავა თუ არა საკუთარი პოლიტიკა და პროცედურები მნიშვნელოვანი პროცესების ან/და საკითხების და კონტროლის მექანიზმების მართვის მიზნით. მათ შორის დაკავშირებული:

- შემოსავლებთან
- ხარჯებთან
- ადამიანური რესურსების ღირებულებასთან
- სასაქონლო-მატერიალური მარაგებთან და აქტივებთან
- ფინანსურ ვალდებულებებთან
- მიწოდებული მომსახურების მთავარ სფეროებთან

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

39. განსაზღვრულია თუ არა ფუნქციები და პასუხისმგებლობები შეუთავსებელი ფუნქციების ნათლად გამიჯვნის მიზნით, მ. შ. სხვადასხვა პირი ასრულებს შემდეგ ოპერაციას:

- ავტორიზაცია
- დამუშავება / გატარება
- აქტივების მეურვეობით ფლობა

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

40. ითვალისწინებს თუ არა აღრიცხვის პოლიტიკა და პროცედურები მონაცემების არასწორი დამუშავების გასწორების მეთოდებს?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

41. ითვალისწინებს თუ არა აღრიცხვის პოლიტიკა და პროცედურები საჭურნალო გატარებების ჩაწერას?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

42. არსებობს თუ არა შესაბამისი მექანიზმები იმისათვის, რომ კანონმდებლობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები აისახოს განახლებულ პოლიტიკასა და პროცედურებში?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

43. ინფორმირებულია თუ არა შესაბამისი ტექნიკური პერსონალი პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

44. ხდება თუ არა პასუხისმგებლობების გამიჯვნა ვაკანტური ადგილის არსებობის, შვებულების ან ავადმყოფობის გამო პერსონალის სამსახურში არყოფნის პერიოდშიც?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

45. იყენებს თუ არა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა შიდა აუდიტის ანგარიშებს კონტროლის მექანიზმების მონიტორინგის მიზნით?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

46. უზრუნველყოფს თუ არა ხელმძღვანელობა შემდეგი საქმიანობის პერიოდულ განხორციელებას?

- ფიზიკურად და თეორიულად არსებულ მარაგების ურთიერთშედარება
- ფაქტობრივად დათვლილი აქტივებისა და აქტივების რეესტრის მონაცემების ურთიერთშედარება
- კომპიუტერული სისტემების ურთიერთშედარება (მაგ., ფინანსური და ადამიანური რესურსების სისტემების)
- ბანკის მონაცემებთან ურთიერთშედარება

(კი-3 ქულა // არა-0 ქულა)

47. დაცულია თუ არა ფიზიკურად ორგანიზაციის კუთვნილი მნიშვნელოვანი აქტივები?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

48. არსებობს თუ არა ორგანიზაციასთან დაკავშირებული საჯარო სექტორის ორგანიზაციები, რომლებიც ექვემდებარებიან:

- ობიექტის კონტროლს
- იმავე პირის (მ.შ. მინისტრის) კონტროლს რომელიც ხელმძღვანელობს აუდიტის ობიექტს

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩამოთვალეთ დაკავშირებული ობიექტები და აუდიტის ობიექტთან მათი ურთიერთობები. დაკავშირებული მხარეები დოკუმენტურად ასახეთ აუდიტის საერთო სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტში.

(კი-0 ქულა // არა-1 ქულა)

49. იდენტიფიცირებული აქვს თუ არა ხელმძღვანელობას რაიმე მნიშვნელოვანი ოპერაციები (მათი არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციასა და რომელიმე გამოვლენილ დაკავშირებულ სუბიექტს შორის?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

დადებითი პასუხის შემთხვევაში, დოკუმენტურად ასახეთ ამგვარი ოპერაციები და გაარკვიეთ, დაკავშირებულია თუ არა ისინი რაიმე რისკთან.

იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობას არ გამოუვლენია არანაირი ოპერაცია, მიუხედავად დაკავშირებული მხარეების არსებობისა, განსაზღვრეთ რა დამატებითი პროცედურები შეიძლება ჩატარდეს ამ ასპექტში.

50. ამზადებს თუ არა ორგანიზაცია სტრატეგიულ გეგმას?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

51. ამზადებს თუ არა ორგანიზაცია სტრატეგიულ გეგმის შესაბამის სამოქმედო გეგმას?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

52. ამზადებს თუ არა ორგანიზაცია სამოქმედო გეგმის შესაბამის ბიუჯეტს?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

53. სტრატეგიული გეგმის და დამოქმედო გეგმის არ ქონის შემთხვევაში ამზადებს თუ არა ორგანიზაცია დეტალურ ბიუჯეტს?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

54. ორგანიზაციაში დანერგილია თუ არა საბუღალტრო აღრიცხვის თანამედროვე ინფორმაციული სისტემები?

(კი-1 ქულა // არა-0 ქულა)

7. ბენფორდის კანონზომიერების დამტკიცება


1995 წლამდე „ბენფორდის კანონზომიერების“ სახელით ცნობილი წესი მათემატიკურად დაუსაბუთებელი იყო (Durtschi, Hillison, & Pacini, 2004). მათემატიკოსმა ჰილმა დაამტკიცა, რომ ბენფორდის კანონზომიერება მიესადაგებოდა მეორე წარმოებულის რიცხვებს. ყოველი შემთხვევითად აღებული რიცხვების პოპულაციისთვის ბენფორდის კანონზომიერება არ არის რელევანტური. შემთხვევითად აღებული რიცხვებიდან თითოეული ციფრით დაწყებული რიცხვი თანაბარი რაოდენობით შეგვხვდება და თითოეული ციფრის ალბათობა ერთი მეცხრედი ანუ 11.11% იქნება. თუმცა, თუ შემთხვევითად აღებული ნებისმიერი ორი რიცხვთა მწკრივით მესამეს ვაწარმოებთ (მაგ: ერთმანეთზე გადამრავლებით), მაშინ „ბენფორდის კანონზომიერება“ მესამე წარმოებულ რიცხვთა პოპულაციისთვის უკვე მოქმედებს.

აღნიშნული მტკიცების გადამოწმება გადავწყვიტე სიმულაციის მეთოდით. შევქმენი ორი დამოუკიდებელი რიცხვთა მწკრივი: მწკრივი A და მწკრივი B, სადაც რიცხვები შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის გზით. თითოეულ მწკრივი შედგება 10,000 შემთხვევითად შერჩეული რიცხვისგან. ორივე მწკრივისთვის მინიმალური შესაძლო რიცხვი არის 1, ხოლო მაქსიმალური - 10,000. ორი მწკრივიდან განხორციელდა მესამე მწკრივის წარმოება - AB, რომელიც მიღებულ იქნა A და B რიცხვთა სიდიდეების ერთმანეთზე გადამრავლებით. გამოვთვალე თითოეულ მწკრივში საწყისი ციფრების რაოდენობა. ექსპერიმენტის შედეგი იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 3 - დამოუკიდებელი ბაზები და მათი ნამრავლით წარმოებული ბაზა

I ციფრები	I ციფრების რაოდენობა			I ციფრების % რაოდენობა		
	A	B	AB	A	B	AB
1	1088	1076	2413	11%	11%	24%
2	1075	1144	1855	11%	11%	19%
3	1180	1086	1501	12%	11%	15%
4	1133	1100	1137	11%	11%	11%
5	1117	1136	922	11%	11%	9%
6	1107	1092	790	11%	11%	8%
7	1104	1106	588	11%	11%	6%
8	1070	1137	442	11%	11%	4%
9	1126	1123	352	11%	11%	4%
სულ	10000	10000	10000	100%	100%	100%

ფიგურა 4 - დამოუკიდებელი ბაზები და მათი ნამრავლით წარმოებული ბაზა



ჩატარებული ექსპერიმენტით დამტკიცდა, რომ ბენფორდის კანონზომიერება სრულიად რელევანტურია მინიმუმ ორი დამოუკიდებელი რიცხვთა ბაზიდან წარმოებული მესამე რიცხვთა მწკრივისათვის. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ წარმოებული რიცხვების სიმრავლეში დაბალი ციფრებით უფრო მეტი რიცხვები იწყება, ვიდრე მაღალი ციფრებით.


იმისათვის, რომ მესამე წარმოებული რიცხვთა ბაზისათვის ბენფორდის კანონზომიერებამ იმუშავოს, აუცილებელია, რომ ეს უკანასკნელი ბაზა ნაწარმოები იყოს გამრავლების ან გაყოფის ოპერაციით. გამოკვლების ან მიმატების ოპერაცია ვერ უზრუნველყოფს ისეთი ბაზის შექმნას, რომლისთვისაც კანონზომიერება დაცული იქნება. აღნიშნულის დასამტკიცებლად ზემოთ მოცემული ორი - A და B ბაზებიდან ვაწარმოე მესამე ბაზა - C, რომელიც მივიღე A და B რიცხვთა სიდიდეების შეკრებით. გამოვთვალე თითოეულ მწკრივში საწყისი ციფრების რაოდენობა. ექსპერიმენტის შედეგი იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 4 - დამოუკიდებელი ბაზები და მათი ჯამით წარმოებული ბაზა

I ციფრები	I ციფრების რაოდენობა			I ციფრების % რაოდენობა		
	A	B	C	A	B	AB

1	1088	1076	5117	11%	11%	51%
2	1075	1144	247	11%	11%	2%
3	1180	1086	394	12%	11%	4%
4	1133	1100	462	11%	11%	5%
5	1117	1136	564	11%	11%	6%
6	1107	1092	685	11%	11%	7%
7	1104	1106	743	11%	11%	7%
8	1070	1137	829	11%	11%	8%
9	1126	1123	959	11%	11%	10%
სულ	10000	10000	10000	100%	100%	100%

ფიგურა 5 - დამოუკიდებელი ბაზები და მათი შეჯამებით წარმოებული ბაზა



ჩატარებული ექსპერიმენტით ნათლად გამოჩნდა, რომ ბენფორდის კანონზომიერება არარელევანტურია ორი დამოუკიდებელი რიცხვთა ბაზიდან წარმოებული მესამე

რიცხვითა მწკრივისათვის, თუ ეს მწკრივი ნაწარმოებია რიცხვების შეკრებით. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ წარმოებული რიცხვების სიმრავლეში ციფრი ერთიანით დაიწყო დაახლოებით რიცხვების ნახევარი, ხოლო დანარჩენი ციფრები პირიქით, აღმავალი ტენდენციით გამოირჩევა.

ბენფორდის კანონზომიერების დამტკიცება უბრალო დაკვირვებითაც მარტივი შესაძლებელია. დავუშვათ, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 1,000,000 ფულად ერთეულს და მისი ეკონომიკა იზრდება წლიური 10%-ით. ეკონომიკის გაორმაგებას დაჭირდება 8 წელი. ანუ 8 წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის გამომსახველი რიცხვი დაიწყება ციფრი 1-ით. ეკონომიკის გაორმაგებიდან გასამმაგებამდე საჭირო იქნება 4 წელი. გასამმაგებიდან გაოთხმაგებამდე - 3 წელი, ხოლო გაოთხმაგებიდან გახუთმაგებამდე - 2 წელი. როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაშიც ყველაზე დიდხანს შენარჩუნებულია ციფრი 1, შემდგომ ციფრი 2 და ა.შ ყველაზე ნაკლები პერიოდი დაჭირდება ციფრი 9-დან 1-ზე გადასვლას.

ფიგურა 6 - ბენფორდის კანონზომიერების პრაქტიკული მაგალითი

8 წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
	1,000,000	1,100,000	1,210,000	1,331,000	1,464,100	1,610,510	1,771,561	1,948,717
4 წელი	2023	2024	2025	2026				
	2,143,589	2,357,948	2,593,742	2,853,117				
3 წელი	2027	2028	2029					
	3,138,428	3,452,271	3,797,498					
2 წელი	2030	3031						
	4,177,248	4,594,973						

ეკონომიკა ყოველწლიურად იზრდება 10%-ით

8. ბენფორდის კანონზომიერების გამოყენება

ზემოთ მოცემულ ქვეთავში დამტკიცებულია, რომ ნამრავლის სახით წარმოებული რიცხვების ბაზაზე ბენფორდის კანონზომიერება მოქმედებს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს იმის ახსნას, თუ რატომ არის რელევანტური ბენფორდის კანონზომიერების

გამოყენება საბუღალტრო აღრიცხვაში მოცემული რიცხვებისათვის. კომპანიების სააღრიცხვო სისტემაში მოცემული რიცხვების დიდი უმრავლესობა ნაწარმოებია მინიმუმ ორი დამოუკიდებელი რიცხვისგან.

მაგალითად, სავაჭრო კომპანიის თითოეული ტრანზაქციიდან მიღებული შემოსავლის გამომსახველი რიცხვი შედგება ორი რიცხვის ნამრავლისგან, ესენია გასაყიდი ფასი და გაყიდული საქონლის რაოდენობა. გასაყიდი ფასი მიეკუთვნება ერთ სიმრავლეს, რიცხვთა განაწილებას, ხოლო გაყიდული საქონლის რაოდენობა მეორე სიმრავლეს. აღნიშნულ ორ სიმრავლეს მიკუთვნებული რიცხვების ნამრავლი კი ქმნის მესამე დამოუკიდებელ რიცხვთა სიმრავლეს, რომელზეც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბენფორდის კანონზომიერება უნდა სრულდებოდეს.

თუ კომპანიის შემოსავლების ჩანაწერებზე ბენფორდის კანონი შესრულდება, ლოგიკურია, რომ ბუღალტერიაში ცნობილი ორმაგი ჩაწერის პრინციპიდან გამომდინარე, ის ასევე იმუშავებს კომპანიის დებიტორებზე შესრულებული საბუღალტრო ჩანაწერებისათვის, რადგან შემოსავლების საბუღალტრო გატარება ხდება შემდეგნაირად:

პროდუქციის რეალიზაციის საბუღალტრო გატარება

Dr. დებიტორული დავალიანება 100 ფულადი ერთეული

Cr. შემოსავლები 100 ფულადი ერთეული

თითოეული გაყიდვით ტრანზაქცია ჩაითვლება დასრულებულად, როდესაც ორგანიზაცია რეალიზებული პროდუქციის საფასურს მიიღებს ფულის სახით. ამ შემთხვევაშიც მიღებული ფული საბანკო ანგარიშზე (ან სალაროში) იქნება იდენტური იმ რიცხვის რომელი რიცხვიც დაფიქსირებულია ზემოთ მოცემულ გატარებაში - დებიტორული ანგარიშის დებეტსა და შემოსავლების კრედიტში:

რეალიზებული პროდუქციისთვის მიღებული ფულის საბუღალტრო გატარება

Dr. ფული 100 ფულადი ერთეული

Cr. დებიტორული დავალიანება 100 ფულადი ერთეული

ანალოგიური ლოგიკის მიხედვით, კომპანიის მიერ გაწეული ხარჯებიც წარმოებული რიცხვებია, რომლებიც შედგენილია შესასყიდი პროდუქციის თვითღირებულებისა და შესყიდული პროდუქციის რაოდენობის ნამრავლისაგან. თუ კომპანიის მიერ გაწეული ხარჯების ჩანაწერები ექვემდებარება ბენფორდის კანონზომიერებას, მაშინ ასევე მიესადაგება კრედიტორების და ფულის გადახდების ანგარიშზე გაკეთებული ჩანაწერები:

ხარჯის გაწევის საბუღალტრო გატარება

Dr. ხარჯი 90 ფულადი ერთეული
 Cr. კრედიტორული დავალიანება 90 ფულადი ერთეული

გაწეული ხარჯისთვის გადახდილი ფულის საბუღალტრო გატარება

Dr. კრედიტორული დავალიანება 90 ფულადი ერთეული
 Cr. ფული 90 ფულადი ერთეული

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ანგარიშები, რომელთან დაკავშირებითაც ბენფორდის კანონზომიერება მუშაობს ზემოთ მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე:

ცხრილი 5 - ბენფორდის კანონზომიერებისათვის რელევანტური ანგარიშები

ნაწარმოები ბაზა N3	ბაზა 1	ბაზა 2
მოგება-ზარალის უწყისი		
შემოსავალი - ბრუნვები	ერთეულის ფასი	რაოდენობა
რპთ ¹ - ბრუნვები	თვითღირებულება	პროდუქციის რაოდენობა
ნებისმიერი "შემოსავლები"	არამუდმივი ფასი	არამუდმივი რაოდენობა
ნებისმიერი ხარჯები	არამუდმივი ფასი	არამუდმივი რაოდენობა

¹ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საბალანსო უწყისი

დებიტორული დავალიანება - ბრუნვები	რეალიზაციის ფასი	პროდუქციის რაოდენობა
კრედიტორული დავალიანება - ბრუნვები	შესყიდვის ფასი	შესყიდვის რაოდენობა
ფული - დებიტორების კორესპოდენციით	რეალიზაციის ფასი	პროდუქციის რაოდენობა
ფული - კრედიტორების კორესპოდენციით	შესყიდვის ფასი	შესყიდვის რაოდენობა
მარაგები	შესყიდვის ფასი	შესყიდვის რაოდენობა
აქტივები	არამუდმივი ფასი	არამუდმივი რაოდენობა
ვალდებულებები	არამუდმივი ფასი	არამუდმივი რაოდენობა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ანგარიშები რომელთან დაკავშირებითაც ბენფორდის კანონზომიერება როგორც წესი არ მუშაობს სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე:

ცხრილი 6 - ბენფორდის კანონზომიერებისათვის არარელევანტური ანგარიშები

ნაწარმოები ზაზა N3	მიზეზი
საპროცენტო შემოსავალი	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამო
საპროცენტო ხარჯი	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამო
ხელფასის ხარჯი	ხელფასები ორგანიზაციაში ფიქსირებულია
ნებისმიერი ხარჯი	წინასწარგანსაზღვრული ფასი
ნებისმიერი შემოსავალი	წინასწარგანსაზღვრული ფასი

ბენფორდის კანონზომიერება ბუნებრივია არ მოქმედებს ისეთ რიცხვთა ერთობლიობაზე, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული პარამეტრებიდან არის ნაწარმოები. მაგალითად, თუ

ორგანიზაციაში მომუშავე თანამშრომლების ფიქსირებული ხელფასების უმეტესობა 2000 ფულადი ერთეულიდან 2900 ფულად ერთეულამდე დიაპაზონშია, მაშინ ხელფასის ხარჯის ბაზაში მოცემული რიცხვების უმეტესობა დაიწყება ციფრი 2-ით, რაც ნიშნავს ბენფორდის კანონზომიერების დარღვევას. ასეთი ბაზების ანალიზისთვის არ არის მიზანშეწონილი ბენფორდის კანონზომიერების გამოყენება, რადგან ბაზა იქნება არარელევანტური.

ასევე არარელევანტური იქნება კომპანიის შემოსავლების ჩანაწერების ანალიზი, თუ კომპანიას აქვს რამდენიმე წინასწარ განსაზღვრული საფასო მომსახურება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სსიპ იუსტიციის სახლი. აღნიშნული არის ორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც მოქცეულია სახელმწიფო სერვისების უმრავლესობა. მისი მიზანი იმ დოკუმენტების გაცემა და მომსახურებების განხორციელებაა, რომელზეც ექსკლუზიური უფლება მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია. ასეთ სერვისებს შორის არის პასპორტის გაცემა. პასპორტის გაცემის საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად (Public Service Hall, 2016) :

ცხრილი 7 - ქართული პასპორტის გაცემის საფასურის ჩამონათვალი

ვადა	საფასური
მე-10 სამუშაო დღეს	100
მე-5 სამუშაო დღეს	120
მე-3 სამუშაო დღეს	150
24 საათში	190
იმავე დღეს	205

ნათელია, რომ ბენფორდის კანონზომიერების გამოყენება სსიპ იუსტიციის სახლის მიერ პასპორტის გაცემით მიღებული შემოსავლების ბაზისთვის არ იქნება მართებული, რადგან ბაზაში მოცემული რიცხვები დაიწყება სულ ორი სხვადასხვა ციფრით 1-ით (100, 120, 150 და 190) და 2-ით (205). ამ ბაზაში არ შეგვხვდება არცერთი რიცხვი რომელიც დაიწყება შემდეგი ციფრებით: 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9.

ყოველივე ზემოთ ახსნილი გარემოებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ბენფორდის კანონზომიერების გამოყენებამდე სწორად იქნას გაგებული საკვლევი ბაზის რიცხვების წარმოშობა.

ბენფორდის კანონზომიერების გამოყენება სრულიად ეფექტიანად არის შესაძლებელი ორგანიზაციის ჩანაწერებში უზუსტობების გამოსავლენად. უზუსტობა ფინანსურ ანგარიშგებაში კი შესაძლოა წარმოიშვას შეცდომით ან თაღლითობით. ბენფორდის კანონზომიერების დარღვევა საკვლევი ბაზისთვის თავისთავად არ ნიშნავს, რომ ნაპოვნია შეცდომა ან თაღლითობა. თუმცა კანონზომიერების დარღვევა ისეთი ბაზებისთვის, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სიხშირეს, მიუთითებს შესაძლო თაღლითობის ან შეცდომის შესახებ.

ბენფორდის კანონზომიერების პრაქტიკული მაგალითი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ურბანული ტიპის დასახლებებისთვის ქ. თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა (United Water Supply Company of Georgia, 2010). კომპანია 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით ემსახურება დაახლოებით 218,000 აბონენტს (State Audit Office of Georgia, 2015). შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წლიურმა შემოსავლებმა 2013 და 2014 წლებში დაახლოებით 51 მილიონი და 45 მილიონი ლარი შეადგინა (State Audit Office of Georgia, 2015).

„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მთავარ ბუღალტერს ბრალი წაუყენეს კომპანიის კუთვნილი დიდი ოდენობის თანხების მითვისებისა და გაფლანგვის გამო (News.ge, 2015), ხოლო მოგვიანებით სასამართლომ 10 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა (Georgian Public Broadcaster, 2015). კომპანიას ერთ-ერთ ბანკში გახსნილი ჰქონდა 100-მდე ანგარიში, რომლებსაც იყენებდა შემოსავლების მიღებისა და ხარჯების გაწვევისთვის. ერთ-ერთი ანგარიშიდან კომპანიის მთავარი ბუღალტერი ყოველგვარი პროდუქტის ან სერვისის მიღების გარეშე თანხებს რიცხავდა შპს-ების ანგარიშებზე, რომლებიც მისი

ოჯახის წევრის დაფუძნებული იყო. გაფლანგულმა თანხამ მთლიანად შეადგინა დაახლოებით 2.3 მილიონი ლარი. აღნიშნული თანხა გადაირიცხა ჯამში 158 ტრანზაქციით. შესაბამისად, ერთ-ერთი საბანკო ანგარიშის 158 ტრანზაქცია თაღლითური იყო (State Audit Office, 2015).

გადაწვევით ჩამეტარებინა ექსპერიმენტი, იმის გასარკვევად ეფექტიანი იქნებოდა თუ არა ბენფორდის კანონზომიერების გამოყენება თაღლითობის გამოსავლენად შემდგომი პრევენციისათვის. მოვიპოვე შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ იმ საბანკო ანგარიშის დებეტური და კრედიტული ბრუნვები, საიდანაც განხორციელდა 158 თაღლითური ოპერაცია. ყველა ტრანზაქციის თანხები მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ცხრილი 8 - თაღლითური ტრანზაქციების თანხები

1,038	11,206	2,042	24,128	3,690	4,750	6,275	8,104
1,074	11,238	2,205	26,196	3,815	46,637	6,410	8,372
1,292	11,251	2,287	27,489	3,866	47,188	6,635	8,522
1,394	11,319	2,308	28,964	3,871	5,011	6,741	8,544
1,410	12,022	2,314	29,004	3,913	5,016	6,795	8,707
1,427	12,033	2,400	201,002	30,055	5,016	6,842	8,730
1,535	12,270	2,432	279,047	30,323	5,027	6,955	8,750
1,610	12,554	2,473	3,038	31,514	5,052	7,017	8,805
1,743	12,668	2,509	3,065	33,568	5,068	7,234	8,849
1,825	12,677	2,603	3,081	35,365	5,090	7,497	8,854
1,839	12,679	2,660	3,218	35,597	5,157	7,649	8,881
1,875	13,777	2,666	3,229	37,586	5,275	7,659	953
10,117	14,245	2,750	3,249	4,131	5,491	7,669	9,227
10,120	14,663	2,751	3,412	4,156	5,503	7,766	9,417
10,176	16,070	2,845	3,549	4,310	5,615	852	9,424

10,369	17,219	2,868	3,604	4,455	5,758	875	9,512
10,460	19,443	20,029	3,611	4,475	5,870	8,009	9,613
10,654	19,945	20,457	3,637	4,530	5,964	8,016	90,239
11,011	101,551	20,726	3,642	4,564	6,065	8,094	
11,082	153,229	22,704	3,644	4,680	6,094	8,097	


როგორც უკვე აღვნიშნე, ზემოთ მოცემული საბანკო გადარიცხვა თაღლითურია და ამ ხარჯების სანაცვლოდ კომპანიას არ მიუღია არანაირი სარგებელი.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია 158 თაღლითური ჩანაწერის განაწილებისა და ბენფორდის კანონზომიერების განაწილების შედარება:

ცხრილი 9 - თაღლითური ჩანაწერების ბენფორდის რიცხვებთან შედარება

I ციფრი	რაოდენობა	158 გატარება	ბენფორდი	განსხვავება
1	40	25.32%	30.10%	-4.79%
2	27	17.09%	17.61%	-0.52%
3	25	15.82%	12.49%	3.33%
4	11	6.96%	9.69%	-2.73%
5	15	9.49%	7.92%	1.58%
6	9	5.70%	6.69%	-1.00%
7	7	4.43%	5.80%	-1.37%
8	17	10.76%	5.12%	5.64%
9	7	4.43%	4.58%	-0.15%
სულ	158	100%	100%	0%

ფიგურა 7 - ბენფორდის კანონზომიერება თაღლითობის ფაქტის მაგალითზე



9. ბენეიშის მოდელის გამოყენება

ბენეიშის მოდელის მიხედვით გამოვთვალო M ქულა შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მაგალითზე დადასტურებული თაღლითობის ფაქტის გადასამოწმებლად (იხ. ქვეთავი ბენფორდის კანონზომიერების პრაქტიკული მაგალითი“).

1. DSRI - დებიტორული დავალიანების დაფარვის დღეების ინდექსი (Days' sales in receivable index) = დებიტორული დავალიანება / მთლიან საკრედიტო გაყიდვები x 365 = 1.57

2. GMI - მთლიანი მოგების მარჟის ინდექსი (Gross margin index) = (შემოსავლები - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება) / შემოსავლები = 0.31

3. AQI - აქტივების ხარისხის ინდექსი (Asset quality index) = (მთლიანი გრძელვადიანი აქტივები - ძირითადი საშუალებები) / მთლიანი აქტივები = 0.01

4. SGI - შემოსავლების ზრდის ინდექსი (Sales growth index) = შემოსავლები t / შემოსავლები t-1 = 1.30

5. DEPI - ცვეთის ინდექსი (Depreciation index) = ცვეთის საშუალო კოეფიციენტი t-1 / ცვეთის საშუალო კოეფიციენტი t = 1.89


6. SGAI - გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ინდექსი (Sales and general and administrative expenses index) = გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები t / გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები t-1 = 1.74

7. LVGI - ვალდებულებებით დატვირთვის ინდექსი (Leverage index) = მთლიანი ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან t / მთლიანი ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან t-1 = 1.37

8. TATA - მთლიანი დარიცხვების მთლიან აქტივებთან შეფარდების ინდექსი (Total accruals to total assets) = (საბრუნავ კაპიტალის ცვლილება (ფულის გარდა) - ცვეთის ხარჯი) / მთლიან აქტივები = 0.25

M ქულა = - 4.84 + 0.92*DSRI + 0.528*GMI + 0.404*AQI + 0.892*SGI + 0.115*DEPI - 0.172*SGAI + 4.679*TATA - 0.327*LVGI = - 4.84 + 0.92*1.57 + 0.528*0.31 + 0.404*0.01 + 0.892*1.3 + 0.115*1.89 - 0.172*1.74 + 4.679*0.25 - 0.327*1.37 = -1.44

ფიგურა 8 - ბეინიშის მოდელის პრაქტიკული მაგალითი



ჩატარებული ექსპერიმენტიდან გამოჩნდა, რომ ბენეიშის მოდელის მიხედვით შპს „გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიაში“ არსებობდა თაღლითობის არსებობის შანსი, რადგან კომპანიის M ქულა მეტია ბენეიშის მოდელში მოცემულ ზღვარზე (-1.78). ბენეიშის მოდელის სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგი ვერ მიუთითებს კონკრეტულად თუ რომელ ანგარიშში ან რომელ ნაწილში შეიძლება იყოს თაღლითობის ფაქტი. ასევე ბენეიშის M ქულის გამოთვლისათვის საჭიროა დეტალური ფინანსური ინფორმაცია, რომელიც დამოკიდებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასა და დაშვებებზე. სასურველია მონაცემები აღებულ იქნას აუდიტრებული ფინანსური ანგარიშებიდან, თუმცა აუდიტის პროცესმა, რომ ვერ აღმოაჩინოს არსებითი თაღლითობა ამის მიზეზური შანსი არსებობს.

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია თაღლითობის პრევენციისა და გამოვლენის მეთოდები და თაღლითობის რისკების შეფასების კითხვარი. აღწერილია ბენფორდის კანონზომიერება და ბენეიშის მოდელის შინაარსი და გაანალიზებულია მათი პრაქტიკული ღირებულება საქართველოში მოქმედ კომპანიაში გამოვლენილ და დადასტურებულ თაღლითობის მაგალითზე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს

წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს - შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

კვლევამ აჩვენა, რომ როგორც ბენფორდის კანონზომიერება, ასევე ბენეიშის მოდელი გამოავლენდა აღნიშნულ თაღლითობას, მათი გამოყენების შემთხვევაში. ზემოაღნიშნული მეთოდებიდან ბენფორდის კანონზომიერება უფრო ზუსტად მიუთითებს თაღლითობის ჩადენის არეს. ბენფორდის კანონზომიერების გამოყენებით დგინდება შესაძლო თაღლითობის არე და საჭირო ხდება დამატებითი პროცედურების ჩატარება მის საბოლოოდ აღმოსაჩენად.

ბენფორდის კანონზომიერების გამოყენებამ შესაძლოა გამოავლინოს ისეთი თაღლითობა, რომელსაც აქვს ხშირი ხასიათი, მიუხედავად თანხობრივი სიდიდისა. კანონზომიერება არ მუშაობს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს თაღლითობას მცირე რაოდენობით, მაგრამ დიდი მოცულობებით. ამასთან ერთად ბენფორდის კანონზომიერების გამოსაყენებლად საჭიროა დამოუკიდებელი რიცხვითი ბაზები.

რეკომენდებულია აუდიტორულმა კომპანიებმა, საკონსულტაციო კომპანიებმა ან შიდა აუდიტის დეპარტამენტებმა თაღლითობის აღმოსაჩენად გამოიყენონ ბენფორდის კანონზომიერება მისი პრაქტიკულობიდან გამომდინარე. ბენფორდის კანონზომიერებით, რიცხოვრივი ბაზების შემოწმებას სჭირდება მიზერული დრო (დაახლოებით 3 დან 5 წუთამდე) თუმცა ამ გზით გამოვლენილი მიგნება შესაძლოა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულების მქონე აღმოჩნდეს. ასევე შეუძლებელია თაღლითობის ჩამდენმა პირმა წინასწარ გათვალოს ის ფაქტი, რომ მის მიერ ჩადენილი თაღლითობა შესაძლოა გახდეს ბენფორდის კანონზომიერების მიხედვით გადამოწმების საგანი და იზრუნოს მის ამ მიმართულებით შენიღბვაზე.

ბენეიშის მოდელი აკეთებს პროგნოზს იმასთან დაკავშირებით შესაძლებელია თუ არა, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იყოს ხელოვნური მანიპულაციების შედეგად შედგენილი, თუმცა არ ადგენს იმ არეებს რაც შესაძლოა იყოს თაღლითური გზით განზრახ არასწორად წარმოდგენილი. ბენეიშის მოდელის უარყოფითი პროგნოზის შემდგომ

საჭირო ხდება დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარება იმისათვის, რომ დადგინდეს რამდენად რეალურად აქვს ადგილი თაღლითობის ფაქტს კომპანიაში. ხშირად აღნიშნული სამუშაო შესაძლოა იყოს დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მოწვევა და აუდიტის ჩატარება, რაც დამატებით ფინანსურ სახსრებთან არის დაკავშირებული.

ბენეიშის მოდელი და ბენფორდის კანონზომიერება მიუთითებს თაღლითობის შესაძლო ფაქტებზე, მაგრამ არ არის გამორიცხული მიღებული შედეგები გამოწვეული იყოს შეცდომით და არა თაღლითობით.

კვლევის შედეგად შედგენილია კითხვარი, რომელიც გვეხმარება თაღლითობის რისკების შეფასებაში. რეკომენდებულია თაღლითობის კითხვარის შევსება და თაღლითობის რისკების შეფასება ბენფორდის კანონზომიერების, ან ბენეიშის მოდელის გამოყენებამდე. თაღლითობის კითხვარი იძლევა ზოგად სურათს ორგანიზაციის შესახებ. აფასებს თუ რამდენად არის იმის შანსი, რომ მოცემულ კომპანიაში ხდებოდეს თაღლითობა. ის ადგენს თუ რამდენად უზრუნველყოფს ორგანიზაციის კონტროლის გარემო თაღლითობის პრევენციას ან გამოვლენას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ თაღლითობის კითხვარის გამოყენების შემთხვევაში მიიღებდა დაბალ შეფასებას, რაც იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ კომპანია დგას თაღლითობის საფრთხის წინაშე.

ბიბლიოგრაფია

- Albrecht, S. W., Albrecht, C. O., Albrecht, C. C., & Zimbelman, M. F. (2012). Fraud Examination. In S. W. Albrecht, C. O. Albrecht, C. C. Albrecht, & M. F. Zimbelman, *Fraud Examination* (pp. 9-15). SOUTH-WESTERN. Retrieved July 07, 2016
- Durtschi, C., Hillison, W., & Pacini, C. (2004). The Effective Use of Benford's Law to Assist in Detecting Fraud in Accounting Data. *Journal of Forensic Accounting*, 1524-5586, 17-34. Retrieved June 8, 2016, from https://www.researchgate.net/profile/Cindy_Durtschi/publication/241401706_The_Effective_Use_of_Benford's_Law_to_Assist_in_Detecting_Fraud_in_Accounting_Data/links/54982f4a0cf2c5a7e342a59e.pdf
- Economictimes. (n.d.). *Economictimes*. Retrieved from Economictimes: <http://economictimes.indiatimes.com/10-financial-frauds-that-shook-the-world/10-long-term-capital-management/slideshow/3847079.cms>
- Georgian Public Broadcaster. (2015, September 11). *News*. Retrieved from 1tv.ge: <http://1tv.ge/ge/news/view/110798.html>
- International Federation of Accountants. (2010). *IFAC*. Retrieved from General Auditing Guidelines: <http://issai.org/media/115448/isa-240.pdf>
- Investopedia. (2016, July 07). *Beneish Model*. Retrieved from Investopedia: <http://www.investopedia.com/terms/b/beneishmodel.asp>
- Investopedia. (n.d.). *Days Sales Outstanding*. Retrieved from Days Sales Outstanding: <http://www.investopedia.com/terms/d/dso.asp>
- Investopedia. (n.d.). *Gross Margin*. Retrieved from Investopedia: <http://www.investopedia.com/terms/g/grossmargin.asp?ad=dirN&qo=investopediaSiteSearch&qsrc=0&o=40186>
- Lawyershop. (2015, October 6). *Lawyershop*. Retrieved from Lawyershop: <http://www.lawyershop.com/practice-areas/criminal-law/white-collar-crimes/securities-fraud/lawsuits/enron>
- Mathworld. (2016, July 07). *Benford's Law*. Retrieved from Mathworld: <http://mathworld.wolfram.com/BenfordsLaw.html>

News.ge. (2015, February 25). *News*. Retrieved from News.ge: <http://news.ge/ge/news/story/125178-227-887-laris-ukanonod-mitvisebistvis-dzebnili-tamar-fkhovelishvili-daakaves>

Oldschoolvalue. (2016, July 07). *Beneish Earnings Manipulation*. Retrieved from Oldschoolvalue: <http://www.oldschoolvalue.com/blog/investment-tools/beneish-earnings-manipulation-m-score/>

Public Service Hall. (2016, June 8). *Biometric Passport of Georgian citizen*. Retrieved from <http://psh.gov.ge/>: <http://psh.gov.ge/main/page/1/8/9>

State Audit Office. (2015, July 13). Working Files of Compliance Audit. Tbilisi, Georgia.

State Audit Office of Georgia. (2015). *Compliance Audit of United Water Supply Company of Georgia*. Tbilisi: State Audit Office of Georgia. Retrieved August 8, 2016, from <http://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2016/tb-gaertianebuli-cyalmomaragebis-kompania.pdf>

The Association of Certified Fraud Examiners. (2014). *Fraud Magazine*. Retrieved from <http://www.fraud-magazine.com/article.aspx?id=4294983342>

Transparency International. (2016, July 07). *What is corruption*. Retrieved from Transparency International: <http://www.transparency.org/what-is-corruption/>

United Water Supply Company of Georgia. (2010, January 14). *Company*. Retrieved August 8, 2016, from water.gov.ge: <http://water.gov.ge/geo/about-us/company>

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2016). შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ აუდიტის ანგარიში. თბილისი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური.